

112
960



ეროვნული
გრაფიკული



დროშა
№ 1 იანვარი 1960





ნიკოლოზ მანუკოვსკი (მარცხნიდან მეორე) სტუმრად ქართველ მეგობრებთან სასტუმრო „მოსკოვი“.

F-2312

1959 წლის 22-24 დეკემბერს შედგა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც შეაჯამა პარტიისა და ხალხის ღონისძიებანი XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის და დასახა გზები ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარებისათვის. კრემლის სასახლის დიდ დარბაზში სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრების, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელებთან ერთად პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების გამოჩენილი წინამძღოლები და ორგანიზატორები, ჩვენი სამშობლოს მოწინავე ადამიანები.

სოფლის მეურნეობის მუშაკები უკვე შეუდგნენ ბრძოლას პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის, შეიღწევიან მეორე წლის ახალი ზღუდეების აღებისათვის.

ფოტო ონანოვისა.




ქართველი მეჩაიე სოციალისტური შრომის გმირი ტატიანა ჩხაიძე (მარცხნივ) და უკრაინელი მეპარხლე — ორგზის სოციალისტური შრომის გმირი ოლღა დობტანი.



დაპარაკობს 1960 წელი	2-4
წელიწადი პირველი	5-6
<i>კარავი მუშლავი</i>	
თქვენ რას იცყოდით?	7-10
<i>გიორგი პაპაშვილი</i>	
უხრელი კასი	12-15
<i>ჩვენი დედაქალაქის სახელწოდებისათვის</i>	15-16
აგაბლარი	16
<i>რაგმბძის „ვოდგა“</i>	17
ქუთაისის თეატრი	17
<i>ორი ქართული მელოდის უცნობი სანოტო ჩანაწერი</i>	18
სპორტული ნარევი	19






ავტობიოგრაფიის და ხელსაწყოთმშენებლობის საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტის თანამშრომელი ა. ბერიძე ბოვის კაზმეის გამოსათვლელ მანქანასთან.

ჩვენი წინასახალწლო ვიზიტები დაიწყო ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტობიოგრაფიის საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტიდან. ამ შენობას შეიძლება „მოაზროვნე“ სახლი ვუწოდოთ, რადგან მის თვითნებულ ოთახში მზადდება „მოაზროვნე“ მანქანები. ინსტიტუტმა უკვე შექმნა ბოვის კაზმეის გამოსათვლელი მანქანა, რომელიც ქუთაისის საავტომობილო ქარხნისათვისაა გათვალისწინებული. ერთი კვირის საანგარიშო საქმეს მანქანა ოთხ წუთში აკეთებს. საქმარისია მხოლოდ „უთხრა“, თუ როგორი ხარისხის თუჯი გვირდება და გიპასუხებს, რა და რა ნივთიერების რა და რა რაოდენობაა ამისათვის საჭირო. ინსტიტუტმა დაამზადა, აგრეთვე ავტობიოგრაფიის გადასამუშავებელი ქარხნისათვის, რომელიც „ფხიზლად“ იცავს განსაზღვრულ ნუსტიანობას სამჭროში. ინსტიტუტის პროდუქცია დიდი პოპულარობით სარგებლობს და დიდი მოთხოვნილებაც აქვს მთელ საბჭოთა კავშირში. მაგრამ ამ ელვინგური პასუხების მანქანათა ინსტიტუტში ერთ კითხვაზე ვერ გავცემს პასუხი:

— რა და რა მანქანებს დაამზადებთ 1960 წელს?

— ჭერ დამტკიცებული არ არის თემატიკური გეგმა! — იყო პასუხი. „ჰმ, — გავფიქრეთ კორესპონდენტებმა, — ხომ შეიძლება ინსტიტუტს ისეთი მანქანაც შეექმნა, რომელიც ერთ წამში დაადგენდა და

დაამტკიცებდა თემატიკურ გეგმებს? — ამან კი თავის მხრივ, მოგვაგონა, რომ ჩვენ უნდა ვსტუმრებოდით რესპუბლიკის სხვადასხვა წარმომებს, სხვადასხვა პროფესიის ადამიანს. ხომ



— აი მოსკოვი, აქედან დაიწყოთ მოგზაურობა! — ეუბნება პოეტი ირაკლი აბაშიძე თავის ბიჭუნას.

შეიძლება მათთან საუბარშიც წამოჭრილიყო ისეთი შეკითხვა, რომელზეც პასუხს ვერავინ გასცემდა? ამიტომ გადავწყვიტეთ ჩვენ თვითონ გამოგვეგონებინა ისეთი კიბერნეტიკული მანქანა, რომელიც არც ერთ

შეკითხვას არ დასტოვებდა უპასუხოდ.

და, აი, უკვე ხელთა გვაქვს „მოაზროვნე“ მანქანა, იგი ისეთი პატარაა, რომ გულისჩიბევიც ეტევა.

ავდივართ პოეტ ირაკლი აბაშიძის სახლის კიბეზე და ვრეკავთ ზარს. კარი იღება:

— ოო, მობრძანდით, მობრძანდით! — ღიმილით გვეპატიუება მასპინძელი, მაღალი, შავგვრემანი კაცი, და ხელს გვართმევს.

„მიულოცე! — მიჩურჩულებს ჩიბეში ჩამწყვდელი „მოაზროვნე“ მანქანა, — ნი წლის შესრულდა... მიულოცე!“

— მოგვილოცავს, პატივცემულო ირაკლი, დაბადებიდან ნი წლისთავი. გისურვებთ ჯანმრთელობას და თქვენი შემოქმედების შემდგომ აღმავლობას, გისურვებთ...

„გეყოფა, — მესმის მანქანის ჩურჩული.“

„მასპინძლის ვაჟია, ზურა, შენა, მეორე კლასში სწავლობს, ჭკვიანი ბავშვია. მიუახლოვდი, მიუახლოვდი, ასეა წესი და რეგი“ — მიქარნახა მანქანამ.

— როგორ ხარ, ზურა? მეორე კლასში სწავლობ, ხომ? — ცკოთხე ბავშვს და თავზე ხელი გადავუსვი. სწორედ ამ დროს შევამჩნიე მაგიდაზე გლობუსი. „გლობუსი? მერე და, ზურა, რად უნდა? მეორე კლასში ხომ გეოგრაფიას არ ასწავლიან? — გამიღვდა აზრმა, — შემაცდინა, ნამდვილად შემაცდინა ჩემმა მანქანამ“. ის იყო შური უნდა შეძია და „მოაზროვნე“ მანქანა გამომეთიშა, რომ ირაკლი აბაშიძემ გლობუსზე მიგვითითა და თქვა:

— ზურა, გისურვებ ჩემი მოგზაურობის მარშრუტს ამერიკაში.

მინდოდა მეკითხა მასპინძლისათვის, კიდევ რომელ ქვეყნებში იმოგზაურა ამერიკის გარდა, მაგრამ იმ წუთელმა „მოაზროვნე“ მანქანამ ჩემი ფიქრებიც ამოიცნო და უეტრად ჩამჩურჩულა: „ვეროპის გარშემო, ინდოეთში, პაკისტანში, ჩინეთში, პოლონეთში...“

იხიბარი არ გავიტეხე და ახალი შეკითხვა მოვფიქრე, მინდოდა გამეგო, „კაპიტან ბუზაიძის“ გარდა ირაკლი აბაშიძის კიდევ რომელ ნაწარამოებზე იყო დაწერილი მუსიკა? რომელ ლექსებს მღეროდა ხალხი? მაგრამ აქაც ჩაერია ჩემს ჩიბეში გაუურსული „მოაზროვნე“ მანქანა და კინაღამ უურში ჩამიძვრა: „მღერა ირაკლი აბაშიძის „ლურსმანაშვილის გმირობას“, „პირველი თოვლის სიმღერას“, „ახალ წელს“, და საერთოდ, „ყველა სიმღერას“, — სხაპასუპით მიქარნახა მანქანამ.

ესეც შენი ინტერვიუ! არც შეკითხვას გაცლის ეს მანქანა და აღარც პასუხს გასმენინებს. სხვა რა გზა გვქონდა, ფოტოკორესპონდენტმა გადაუღო პოეტის სურათი და ჩვენ ისეც ქუჩაში გამოვედით.

— რომ ეჩრები შეცამტე გოჭივით, ვინ გეხვეწებოდა? — წავეჩხუბე მანქანას, — როცა რამეს გკითხვენ, მაშინ უპასუხე, თუ ჭკუა გაქვს თავში.


— რას აწუხებდით იმ პათიოსან კაცს, მე ყველაფერი ვიცი მის შესახებ! — დაიტრახა მანქანამ.

— ყველაფერი?... — აბა, ეს მითხარი, ყმაწვილო, 1960 წელს რას დასწერს ირაკლი აბაშიძე?

პასუხი არ იყო. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

— თქვი, რას გაჩუმებულხარ? — ვკითხე ნიშნის მოგებით.

ასე მიულოცა ჟურნალ „დროის“ მკითხველებს ახალი წელი კინორეჟისორმა ს. დოლიძემ.



1960 წლის 12 თებერვალი

1961 წლის 19 იანვარი

— მაცალე ცოტა ხანს, ეგ ძნელი კითხვაა, — შიპასუხა მანქანამ და უცბად დაუმატა, — 1960 წელს ირაკლი აბაშიძე დასწერს მოგზაურობის შთაბეჭდილებებს პროზად და ლირიკული ლექსების ციკლს სათაურით: „გზებზე“.


— საიდან იცი?
— ვიცი, რა არის ისეთი, რომ მე არ ვიცი...

მაგრამ უკანასკნელი სიტყვა მანქანამ ვეღარ დაამთავრა, მისი მეტიჩრობით გაბრაზებულმა მე იგი გამოვითიშე და გადავწყვიტე, უკიდურეს შემთხვევაში ამემუშავებინა.

ჩვენ შევიარეთ თბილისის კინო-



მხატვარი უჩა ჯაფარიძე: — აი, ამ ჩარჩოში ჩავსვამ პირველსავე ტილოს, რომელსაც 1960 წელს შევქმენი!



ვ. ანჯაფარიძე იგლითის („ურთელ აკოსტა“) როლში.

სტუდიაში და ფოტოსურათი გადავუღეთ რეჟისორ სიკო დოლიძეს. მალე ეკრანებზე გამოვა ს. დოლიძის ფილმი: „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“, რომელიც, რა თქმა უნდა, მისი არც პირველი და არც უკანასკნელი ფილმია.

— ეს მერამდენე სურათი იქნება თქვენი? — ვკითხეთ რეჟისორს. მან უცბად ვერ გვიპასუხა, თითებზე გადათვლა დაიწყო. და რადგან გვეჩქარებოდა, იძულებული ვიყავი ჩამერათო ჩემი „მოაზროვნე“ მანქანა.

„ეს იქნება 512-ე სურათი“, — ჩამჩურჩულა მან.

„მიჭკარავ, — ჩავძახე მე, — 512 ძალიან ბევრი მოგივიდა“.

„ვიმეორებ: ახლა რომ გადაუღეთ.

ეს იქნება სიკო დოლიძის 512-ე ფოტოსურათი“, — დააწუსტა მანქანამ. ხმაზე ეტყობოდა, ეწყინა ჩემი შენიშვნა.

„ჩვენ კინოსურათებზე ვსაუბრობდით, ძვირფასო, და არა ფოტოსურათებზე“, — განვუმარტე მანქანას.

„უცნაურები ხართ ადამიანები, — შენიშნა მანქანამ, — ათასი სინონიმი გაქვთ ერთი საგნის გამოსახატავად, — და დაუმატა, — ეს მეთე კინოსურათია“...

1960 წლისათვის რეჟისორი სიკო დოლიძე დაიწყო საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ფილმის გადაღებას, რომელსაც ერქმევა: „ერთი ცხოვრების ისტორია“. ფილმის სცენარი ეკუთვნის თვით რეჟისორს. კინოსურათი ორ სერიად დაიდგმება.

კინოსტუდიიდან მარჯანიშვილის სახელობის თეატრში დავაპირეთ წასვლა, ჩვენი სახელოვანი მსახიობის ვერიკო ანჯაფარიძის სანახავად. მაგრამ, როგორც კი ტაქსი დავიჭირა-

ვით, „მოაზროვნე“ მანქანამ უეცრად წამოიძახა:

— ტყუილად ირჭებით, ვერიკო ანჯაფარიძე ამჟამად თბილისში არ იმყოფება.

რა უნდა გვექნა? იძულებული ვიყავით ვერიკო ანჯაფარიძის ძველი სურათი დაგვებეჭდა შურნალში. აქ იგი, შედარებით, ახალგაზრდულად გამოიყურება. მაგრამ, ჩვენი ღრმარწმენით, არ შევმცდარვართ, ვერიკო ხომ მართლაც უცვლელი ახალგაზრდაა სცენაზე, უფრო და უფრო მეტი მომხიბლაობითა და ოსტატობით აჯადოებს მაყურებელს, მისი შემოქმედება მეორე ახალგაზრდობას განაცდის. ასე რომ ჩვენ ამ სურათს თამამად ვაწერთ: „ვერიკო ანჯაფარიძე 1960 წელი“.

ახალგაზრდა კომპოზიტორს სულხან ცინცაძეს მაშინ ვესტუმრეთ, როდესაც იგი ორლულიან სანადირო თოფს წმენდა. ჩვენ ოდნავ გაგვაკვირვა ამ ამბავმა.

„რა გეჭვირთ, — შემოგვძახა მან-

ქანამ, — ეს ახალგაზრდა მონადირეთა კავშირის წევრია“.

— მე მიინდა ვისარგებლო იმ გარემოებით, — გაიღიმა კომპოზიტორმა, — რომ მონადირეთა კავშირის წევრი ვარ და 1960 წელს ჩემი ორლულიანი თოფით მოვკლა ორი კურდღელი: ბალეტი „დემონი“, რომელსაც ვახტანგ ჭაბუკიანი დგამს, და მუსიკალური კინოკომედია. თუ საფანტი მეყო, ვეცდები მესამე კურდღელიც დავიჭირო. ეს იქნება მეხუთე სიმებიანი კვარტეტი.

ამ დროს უეცრად ალულულდა „მოაზროვნე“ მანქანა:

„სამი კურდღლის მადევარი ორ კურდღელს ვერ... ბოდიში. ორი კურდღლის მადევარი სამ კურდღელს ვერ... ბოდიში, მამაკითო...“

სადაც უურმოკრული ანდაზის გახსენება უნდოდა მანქანას, მაგრამ დაიბნა. ჩვენ გადავცვიტეთ მისი ეჭვი კომპოზიტორს:

— რა თქმა უნდა, ძნელია ორი და სამი კურდღლის დაჭერა, — თქვა სულხან ცინცაძემ, — მაგრამ, ნუ გავიწყდებათ, რომ 1960 წელი ნაკიანია, ერთი დღით მეტია გასულ წელზე. ასე რომ დროც მეტი მექნება მიზნის მისაღწევად!

„მოაზროვნე“ მანქანა სულ დაიბნა, როდესაც შურნალ „ნინგში“ ჭვებ დუმბავასა და კარიკატურისტ გიგლა ფირცხლავას ვსაუბრებოდი. ვერც ერთი ხუმრობა ვერ გაიგო და გამოშტერებული გვისმენდა. მართლაც და, რა აზრი უნდა გამოეტანა რკინის ავტომატს ასეთი საუბრიდან:

კომპოზიტორი ს. ცინცაძე: — ამ თოფით მე ხშირად მომიკლავს... დრო.



— თქვენ ჩვენ დუმბავა ბრძანდებოთ?

— დიახ!

— ვინ გიყვართ მწერლებს შორის ყველაზე მეტად?

— ნოდარ დუმბაძე! (ჩვენ დუმბავას ნამდვილი გვარია. ეს მანქანამ რაც იცოდა.)

— რას სწერთ ახალს?

— განცხადებას, რომ გამოცემულობამ მონორარი გადამოიციტოს (მანქანას კი „ნახვავლი“ აქვს, რომ მწერლები მხოლოდ წიგნებს სწერენ).

— რატომ დაანებეთ თავი ლექსების წერას?

— 1960 წელს გამოვა ჩემი ლექსების წიგნი და თვითონ მიხვდებით!

— თქვენ, მგონი, აპირებთ ტურისტულ მოგზაურობას ამერიკაში.

— დიახ, უკვე დავიწყე შთაბეჭდილებების წერა.



ეს არის განუმეორებელი სურათი; ფოტოკორესპონდენტმა დაიჭირა ის იშვიათი მომენტი, როდესაც იუმორისტი ნოდარ დუმბაძე (მარცხნივ) და კარიკატურების ოსტატი გიგლა ფირცხალავა არ იცნოდნენ (იბეჭდება პირველად)

— ესე იგი, მთვარეზე გაფრინდებით?

— იმედი მაქვს.

— კეთილ მგზავრობას გისურვებთ, ნახვამდის!

აქედან პირდაპირ გავსწიეთ საქართველოს სახალხო მხატვრის უჩა ჯა-

ძის მიერ შექმნილ მაკეტს მინიატიურული ფარდა ახადა. ეს იყო მომავალი სპექტაკლის ერთ-ერთი სცენა.

1960 წელს მ. თუმანიშვილი კინოშიც აპირებს თავისი ძალისა და ნიჭის გამოცდას. იგი დადგამს ახალ ქართულ კინოკომედიას.

ჩვენ გაგვახსენდა, რომ ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი აკაკი ციმიჩტია 1956 წელს თბილისიდან ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელში გაემგზავრა და კოლმეურნეობის თავმჯდომარედ დაიწყო მუშაობა. მაშინ დარჩელის კოლმეურნეობაში ცუდად იყო საქმე. საერთო შემოსავალი მხოლოდ 800.000 მანეთს აღწევდა, შრომადღეზე მხოლოდ 1,5 კგ. მარცვალს ანაწილებდნენ, ფულად კი ერთი მანეთიც არ რგებოდათ კოლმეურნეებს. წველადობა სულ ძროხაზე 220 ლიტრს შეადგენდა, სიმინდის მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე მხოლოდ 6 ცენტნერს აღწევდა. ახლა როგორადა საქმე დარჩელის კოლმეურნეობაში? რა მიღწევებით შეხვდნენ ახალ, 1960 წელს? აი, სად გამოგვადგა ჩვენი „მოაზროვნე“ მანქანა, მან ელვისუსწრაფესად გვიკარანახა ციფრები, ჩაწერას ძლივს ვასწრებდით: 1959 წელს კოლმეურნეობაში დაგეგმილი იყო 1.700.000 მანეთი. შრომადღეზე განაწილდა 5 მანეთი ფულად, და 5 კგ. მარცვალი. წველადობა 900-ს ლიტრამდე გაიზარდა. ჰექტარზე 72 ტონა ჩაი და 80 ცენტნერი სიმინდი მოიყვანეს. შეიძინეს 6 ტრაქტორი, ააშენეს გარაჟი, 1965 წლისათვის კოლმეურნეობის შემოსავალი 8 მლნ. მანეთს მიაღწევს.

ჩვენ მაღლობა გადავუხადეთ „მოაზროვნე“ მანქანას და იქვე გადავეცით ამ წერილის ტექსტი, რომ პუნქტუაცია გაესწორებინა. პირველი შესწორება შეეხო სიტყვა „მოაზროვნეს“. მანქანამ ყველგან ბრჭყალები წაუშალა ამ სიტყვას, რადგან მისი აზრით, იგი ნამდვილად მოაზროვნე მანქანაა და არა გადატანითი მნიშვნელობით. მანქანამ განაგრძო კითხვა, უეცრად აუტყუა ხმამაღ-

ლი ხარხარი. ვერაფრით ვერ გავაჩერეთ. დავხედეთ ტექსტს. გვიანტირესებდა, რა ნაწილს მანქანამ ვერ სასაცილო. გამოირკვა, რომ იგი თურმე, კითხულობდა შურნალ „ნინაგში“ ჩაწერილ საუბარს. საწყალი ავტომატი, მხოლოდ ახლა მიხვდა ჩვეულებრივ, ადამიანურ ხუმრობას. დაბოლოს, გავემგზავრეთ იმ სტამ-




სოფელ დარჩელის კოლმეურნეობის თავმჯდომარე აკაკი ციმიჩტია.

ბაში, სადაც დასაბუქდად მზადდება ჩვენი უურნალი. და გადავიღეთ სტამბის გამოცდილი მუშაკი, დამკაბადონებელი ქსენია მახარაძე. მასზე და მის კოლეგებზეა დამოკიდებული, რომ უურნალი დროზე გამოვიდეს და ეს სახალწლო ჩანაწერები ნამდვილად სახალწლოდ წაიკითხონ „დროშის“ მკითხველებმა.

წარმატებებს გისურვებთ, ძვირფასო მეგობრებო, მუშეობ და კოლმეურნეობ, მწერლებო და კომპოზიტორებო! გელოდებით ახალი, შემოქმედებითი წელიწადი!

ე. მარიამიძე
ფოტო მ. თურქიანი



ყველას უყვარს, ყველა პატივისცემით ეპყრობა ქსენია მახარაძეს, სტამბის ახალგაზრდა მუშებს იგი ყოველდღიურად უზიარებს თავის მდიდარ გამოცდილებას.



რუსთაველის სახ. თეატრში 1960 წელს პირველი პრემიერის ფარდას ახდის რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი.

— როგორ, ჯერ ხომ არ წასულხარა?

— მართალია, მაგრამ მე უკვე ჩავეწერე დღიურში: „ამერიკაში ჩახვლისას ყველაზე მეტად განმაცვიფრა იმ ამბავმა, რომ არავინ მიცნობდა“.

— ძალიან დიდი წარმოდგენა გქონიათ თქვენს თავზე.

— მწერალს თუ წარმოდგენისა და ფანტაზიის უნარი არა აქვს, რისი მწერალია?

— თქვენ? თქვენ რაღას აპირებთ 1960 წელს? — ვკითხეთ მეგობრული შარჟების ოსტატს, გიგლა ფირცხალავას.

— ჩემი ოცნებაა 1960 წელს დავხატო მთვარის უხილავი მხარის მეგობრული შარჟი.

— ალბათ, იმ ფოტოსურათით ისარგებლებთ, რომელიც ჩვენმა კოსმოსურმა რაკეტამ გადაუღო მთვარეს.

— არა, მე მინდა პირდაპირ ნატურრიდან ჩავიხატო!

ფარიძის სახელოსნოში. დიდი დარბაზის ოთხივე კედელი სურათებითაა დაფარული. შესანიშნავი პეიზაჟები და უანრული ჩანახატები ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნიან, თითქმის ელვისუსწრაფესად მოიარეთ საქართველოს კუთხეები. ამ კედლებზე მხატვრის მთელი ბიოგრაფიაა დაწერილი. ჩვენ შევნიშნეთ კედელზე დაკიდებული ცარიელი ჩარჩო. მხატვარმა განგვიმარტა, რომ ამ ჩარჩოში ჩახვამს 1960 წელს დახატულ პირველსავე სურათს. ჩვენი შემდეგი ობიექტი იყო რუსთაველის სახელობის თეატრი.

— 1960 წელს პირველ პრემიერად მაყურებლებს ვუჩვენებთ არხუშოვის პიესას „ირკუტსკის ისტორიას“.

— გვითხრა ახალგაზრდა რეჟისორმა მიხეილ თუმანიშვილმა, — ეს ჩემი მეცხრე სპექტაკლი იქნება. ჯერჯერობით მხოლოდ ამის ჩვენება შეგვიძლია, — თქვა მან და მხატვარ თავა-

ამ ქარხნის ნაწარმი კილომეტრობით გაიზომება. ცვლაში ქარხანა 50-60 კილომეტრ კაბელს უშვებს. ეს არცთუ ისე ბევრია, თუ ვივარაუდებთ, რომ ერთი „ტუ-104“ თვითმფრინავის აგების დროს 20 კილომეტრზე მეტი სხვადასხვა ტიპის კაბელია საჭირო, ხოლო ერთ ელექტრომავალს კიდევ უფრო მეტი საკაბელო ნაწარმი ხმარდება.

ქარხნის ისტორია სულ ერთ წელიწადს ითვლის, მაგრამ „საქართველოს კაბელის“ მარკის პროდუქციას მოუთმენლად ელიან საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში — მოსკოვში, ჩელიაბინსკში, ვორონეჟში, კუბინეჟში, ტაშკენტში...

ამ ქარხნის მარკაც მეტად თავისებურია — ეს არ არის არც ტვიფრი და არც რაიმე პირობითი ნიშანი, მაგრამ კაბელის სულ მცირე მონაკვეთიც რომ აიღოთ ხელში, ხელად გამოიცნობთ, თუ რომელმა ქარხანამ დაამზადა იგი. ქარხნის მარკა — კილომეტრების მანძილზე გასდევს კაბელს, იგი კაბელის შემონახვევშია ჩაქსოვილი. ეს ის ფერადი ძაფია, რომელსაც თქვენ ხედავთ თეთრ საგანათებო ზონარში ჩაქსოვილს. ჰო და, თუ დაუკვირდით და დაინახეთ, რომ ზონარში ჩაქსოვილია სამი ფერის ძაფი — წითელი, ყვითელი და ლურჯი, იცოდეთ, ეს ზონარი ზესტაფონში — „საქართველოს კაბელის“ ქარხანაშია დამზადებული. სამი ფერის ძაფი იმასაც აღნიშნავს, რომ ეს ქარხანა სულ ახალგაზრდაა, რადგან ერთი ფერი, ანდა ორი ფერის ყველა კომბინაცია უკვე აღარ არის საკმარისი და ახლა სამი ფერით აღნიშნება საბჭოთა კაბელის ნაწარმი.

ის, რომ ქარხანა ახალგაზრდაა, უცებ გეცემათ თვალში. ჩამოვიღოთ მის საამქროებს და მხოლოდ ახალგაზრდებს დაინახავთ დასვენებთან — საშუალო სკოლადამთავრებულ ზესტაფონელ და საქარელ გოგონებს და ბიჭებს, რომელთა სამუშაო სტაჟი თვეობით დაითვლება. ჭკრ კიდევ მოუთავებელ ვრცელ შენობაში ცალ მხარეს ძაფშემომხვევი და ძაფშემომქსოვი მანქანების მწყობრი რიგებია ჩაყოლებული, მეორე მხარე კი მშენებლების ხელშია. ქარხანაში ყველა სწავლობს. გურამ დვანიძემ, ახლა რომ გადამხვევად მუშაობს და გამუდმებულ დაზღაწე მომუშავე ჯუმბერ გეწაძემ სამი თვე გაატარეს ქალაქ ბერდიანსკში ქარხანა „აოვკაბელში“ და იქ შეისწავლეს ხელობა.

ქვემოთ კოხონელიძე, ნანული ხუსკივაძე, ცირა ბარბაქაძე აქვე ქარხანაში იყვნენ მოწაფეებად და ეს-ეს არის ჩაბარებს გამოცდები, თანრიგი მიიღეს და ძაფშემომხვევი მანქანები ჩაიბარეს, ხოლო ლიანა ვეკუა სულ რამდენიმე დღეა, რაც ქარხანაში მოვიდა და მოწაფედ ჩაირიცხა.

ქარხნის დირექტორის სამუშაო ოთახიდან — (სწორედ, სამუშაო ოთახიდან, რადგან მას არ გააჩნია



მერაბ მელითაური

დირექტორის კაბინეტის ყველა ატრიბუტი — ეს დიდი და სინათლიანი ოთახია ქარხნის მთავარი კორპუსის მესამე სართულში, — ოთახი, რომელშიც სამუშაო მაგიდა და რამდენიმე სკამია ჩანს ვრცელი მოედანი: იქით, რკინიგზის გადაღმა, ამართულია საქართველოს სასოფლო მეურნეობის აკადემიის საქარის საცდელი სადგური და ზესტაფონი.

ნანული ხუსკივაძე მუშაობს ძაფშემომხვევ მანქანაზე.



ნის ფეროშენადნობთა ქარხნის ლუმენების ცეცხლი ელვარებს. მდინარე ყვირილის ნაპირიდან რკინიგზამდე აიგება მომავალი ქარხნის კორპუსები, სადაც რამდენიმე ათეული დასახელების კაბელი დამზადდება. ამ კაბელის ნიმუშებს ახლა მხოლოდ ქარხნის დირექტორის — დავით კუხიანიძის მაგიდაზე დაინახავთ, ხოლო მათი წარმოების რთულ ტექნოლოგიურ პროცესს ქარხნის გენერალური გეგმის იმ ფურცლებზე, რომლებიც მხოლოდ ამ დღეებში დაამტკიცა საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭომ.

ქარხნის დირექტორს დავით კუხიანიძეს უდავოდ პედაგოგიური ნიჭი გააჩნია, რადგან მისი ნახევარსაათიანი ლექციის შემდეგ ჩვენც გავიმსჭვალეთ იმ რწმენით, რომელიც ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი ყველა აქაურ ინჟინერსა თუ მუშას, — იმ რწმენით, რომ კაბელის გარეშე შეუძლებელია თანამედროვე მრეწველობის, ტრანსპორტისა თუ კავშირგაბმულობის არსებობა; კაბელი ხომ ის არხია, რომლითაც მოედინება ელექტროენერჯია; ის მაცოცხლებელი ძარღვია, ურომლისოდაც ვერც ერთი მანქანა ვერ ამოძრავდება, იგი სახალხო მეურნეობის ყველა უბანზეა საჭირო.

მიმოიხედეთ ირგვლივ — თქვენი ოთახი საგანათებო ზონარით არის შემოქსეილილი, გარეთ ელექტროგადამცემი ხაზების შიშველი სადენები, მიწისქვეშა ძალური კაბელი, სატელეფონო, სატელეგრაფო, რადიო და ტელეხედვის კაბელებია გაჭიმული, ეს, რასაც თვალი ხედავს. შედით ქარხანაში და ათეული, ასეული კილომეტრის კაბელებს დაინახავთ ელექტრომანქანებსა და დანადგარებზე.

დედამიწის ბირთვი გახვეულია კაბელების ქსელში: მიწისქვეშა, წყლისქვეშა, საჭარო კაბელები ერთმანეთთან აკავშირებენ დედამიწის ყველა კუთხეს.

ავტომატიკისა და ელექტრონიკის საუკუნეში — უოველდღიურად იზრდება კაბელის როლი ადამიანის ცხოვრებაში.

დანიშნულების შესაბამისად კონსტრუქტორებმა შექმნეს ასეული სახის კაბელი — სულ მარტივი შიშველი მავთულიდან ურთულეს წყალქვეშა მაღალი ძაბვის გამტარი და მაღალი სიხშირის რადიოდეკრანებულ კაბელებამდე. კაბელი, რომლის განივი კვეთი კვადრატული მილიმეტრის მეთასხედებით გაიზომება — და მძლავრი კაბელები 400 კვადრატული მილიმეტრის კვეთით.

აქ, კაბელის ქარხანაში, სულ მარტივი ალუმინუმისა და სპილენძის გლინულა გადაიქცევა ურთულესი აგებულების კაბელად. ამიტომ შეკაბელე ინჟინერი და მეტალურგიც უნდა იყოს (აქ იგულისხმება

ნება მანქანული), მექანიკოსიც (რომ ამ რთულ მანქანებს მოეშახუროს), ელექტრიკოსიც, ქიმიკოსიც (პლასტმასები და გამზღვრთი მასალების ტექნოლოგია უნდა იცოდეს) და ქსოვილის სპეციალისტიც კი უნდა იყოს, რადგან კაბელის შემოქსოვა და შემოხვევა აქ ხდება.

ქარხნის ინჟინრები: მთავარი ინჟინერი არჩილ კვინიკაძე, უფროსი საკანტროლო ოსტატი გივი კარანაძე, ცვლის უფროსი რევაზ ჭულელი ხელმძღვანელობენ ქართული კაბელის ახლად ფეხადგმულ წარმოებას. უველანი ადგილობრივი მკვიდრები არიან. დავით კუხიანიძე და გივი კარანაძე — ზესტაფონელები, არჩილ კვინიკაძე — ქვემო საქარელი, რევაზ ჭულელი — სვირელი. უველამ საქართველოში მიიღო უმაღლესი ტექნიკური ცოდნა. დავით კუხიანიძემ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა, არჩილ კვინიკაძემ — რკინიგზის ინჟინერთა თბილისის ინსტიტუტი, რევაზ ჭულელმა — სოფლის მეურნეობის ინსტიტუტის მექანიკის ფაკულტეტი. ესეც ნიშანდობლივი ამბავია, — ქართული კაბელი ქარ-


თველი მუშებისა და ინჟინრების ხელით კეთდება.

ქარხანა მხოლოდ იწყებს მუშაობას, მაგრამ ზესტაფონურ სამონტაჟო სადენსა და განათების ზონარზე უკვე დიდი მოთხოვნილებაა: მხოლოდ ერთი დღის განმავლობაში მოსკოვის ბინათმშენებლებს 500 კილომეტრი ზონარი ვაგვჭავნა, კაბელი ვაგვჭავნა სუმგაიტელ მეთალურგებსა და რუსეთის მანქანათმშენებლებს.

ჩვენ მოვინახულეთ ქარხანა წლის დასასრულს, დირექტორის მაგიდაზე კი უკვე 1960 წლის პროდუქციის განაწილება იდო, სამჭერ მეთი, ვიდრე წელს.

ასე ხდება შვიდწლედის მეორე წელს — შვიდწლედის პირმშო — ზესტაფონის ქარხანა „საქართველოს კაბელი“, შვიდწლედის დასასრულისათვის კი იგი იმდენად მძლავრ წარმოებად გადაიქცევა, რომ მისი პროდუქციის ღირებულება აღემატება მეზობლისა და უფროსი მის ზესტაფონის ფეროშენადნობითა ქარხნისას.

დაფემომქსოვ განყოფილებაში.



ფრიდონ ხალვაში

შემოდგომაზე გავგახსენდება

მირბის მანქანა, ქარივით მირბის, უწყვეტ ნაკვალევს ტოვებს გორებზე, ბალახები კი, შემდეგ, გზის რბილ-რბილ ტალახებიდან წელს ისწორებენ. უახლოვდები ბუხრიან ოდას, ყორვეზე ყივის შავი მამალი. მე ნალიასთან ვიყნოსე ცოტა ფიჩხების კვამლი, როგორც წამალი. კვლავ მომეხვია მოხუცი დედა, კვლავ მომიტანა ღაზლის წინდები, მე კი დარცხვენით თვალებით ვხედავ, — კაბა აცვია შარშანწინდელი. შვილებმაც ვიცით მშობლების ქება, როცა ხელთა სავესე თასები,

მაგრამ ხანდახან არც გავვებება ნამდვილი ფასი იმ დაფასების. ხელცარიელი შევადებთ კარებს, გარეთ გავათრევთ მძიმე კალათებს, დედას ვუტოვებთ მოწყენილ თვალებს, ჩვენს თავთან თეთრად ღამეგანათევს. წავალთ, გავვართობს შეხვედრა სულ სხვა, ვითომდა ლუკმა ცით გვეძლეოდეს... და მამაბიჭებთან, სუფრაზე უხვად დავიწყებთ ახალ სადღეგრძელოებს. ის კი — მშობელი, სოფელს რომ უვლის და ჩვენი ნახვის ნატვრით ბერდება, შემოდგომაზე, ყურძნის წურვის ღროს ჩვენ ზელმეორედ გავგახსენდება.



ქურნალმა „დროშამ“ გამოაცხადა დახურული კონკურსი თანამედროვე თემაზე დაწერილ მოთხრობასა და მხატვრულ ნარკვევზე შვიდწლედის თემატიკიდან.

„დროშის“ სარედაქციო კოლეგიამ შეაჯამა კონკურსის შედეგები. სულ საკონკურსოდ შემოვიდა 78 მოთხრობა და 20 ნარკვევი. ამთგან 25 მოთხრობა და 7 ნარკვევი განხილულ იქნა პრემიების მისანიჭებლად დანარჩენი დაწუნებულ იქნა. არც ერთი მოთხრობა და ნარკვევი რედკოლეგიამ არ ჩათვალა პირველი პრემიის ღირსად.

პრემიები მიეკუთვნათ:
ა) მოთხრობებში:

მეორე პრემიები კარზე მუშაობა — მოთხრობისათვის „თქვენ რას იტყვით?“, მერაბ ელიოზიშვილს — მოთხრობისათვის „მოლოდინი“ და ოტია იოსელიანს მოთხრობისათვის — „თეთრი ქალიშვილი“.

მესამე პრემიები: რევაზ ინანიშვილს — მოთხრობისათვის „უკანასკნელი არდადეგები“ და რამაზ კობიძეს — მოთხრობისათვის „ხუმრობა და ხიფათი“.

ბ) ნარკვევებში:

მეორე პრემია მიეკუთვნა: ნოდარ წულეისკირს ნარკვევისათვის — „მე მჯერა მათი“, ხოლო მესამე პრემია — გივი გეგეჭკორს ნარკვევისათვის — „თითქო მატარებელი გადადის ხიდზე“.

გარდა ამისა, რედკოლეგიამ დასაბეჭდად მოიწონა კონკურსზე შემოსული რამდენიმე მოთხრობა და ნარკვევი.

ქურნალ „დროშის“ სარედაქციო კოლეგიამ აღნიშნა 1959 წლის განმავლობაში ქურნალში დაბეჭდილი საუკეთესო ნაწარმოებები და ყოველწლიური ფულადი ჯილდოებით დასაჩუქრა შემდეგი ავტორები:

ურა ჯაფარიძე (სულხან-საბა ორბელიანის პორტრეტისათვის, რომელიც დაბეჭდილი იყო ქურნალის № 11-ში);

ბორის ჩხეიძე (ნარკვევისათვის „ზამთრის საძოვრების გზაზე“, № 1);

გიორგი რაზმაძე (ფერადი ფოტოსურათისათვის — „გაზაფხული“, № 5);

ოთარ თურქია (ფოტოილუსტრაციებისათვის ნარკვევისა „ათი სიხარული“, № 8; და რეპორტაჟისა „საუბარი XXI საუკუნესთან“, № 7);

გურამ თიკანაძე (ფოტოილუსტრაციებისათვის მოთხრობისა „მანანა მიდის დიდხევში“, № 6, ფოტოსურათისათვის „ლაჯანურის გვირაბი“, № 8 და ფოტონარკვევისათვის „შემოდგომა ტანძიაში“, № 11);

ედიშერ ყიფიანი (რეპორტაჟისათვის „მატიჩი, რომელიც არასოდეს დამთავრდება“, № 12);

კოტე ჯავრიშვილი (მოთხრობისათვის „მანანა მიდის დიდხევში“, № 6 და ნარკვევისათვის „საქართველოს დედოფალი“, № 7).

მხატვარი
ზურაბ ლიშინაძე



კარაი მუჰლაქი

ჟურნალისტი და მწერალი კარაი იპოლიტეს ძე მუჰლაქი დაიბადა 1921 წელს. ის უკვე თხუთმეტი წელიწადია აქტიურად მუშაობს საქართველოს ჟურნალ-გაზეთებში („ზარია ვოსტოკა“, „რუსთავეის მეტალურგი“ და სხვა).

დიდი სამამულო ომის ბრძოლებში და, ომის შემდგომ წლებში ახალგაზრდა სამრეწველო ქალაქის—რუსთავეის ცხოვრებაში ყოველდღიურმა მონაწილეობამ დიდი გამოცდილება შესძინა მწერალს. ამ გამოცდილებას იგი წარმატებით იყენებს თავის ნარკვევებსა და მოთხრობებში.

1950 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა კ. მუჰლაქის რომანი სამამულო ომის თემაზე „ყირიმის მიწაზე“, ხოლო 1958 წელს — მოთხრობებისა და ნარკვევების კრებული.

ქვემოთ ვებუძავთ მოთხრობას, რომელსაც 1959 წელს მეორე პრემია მიეკუთვნა ჟურნალ „დროშის“ კონკურსზე.

საქონს რას იტყვიან?

ვუძღვნი ქალიშვილებს, რომლებიც სიმწიფის ატესტატით ეწვივნენ წარმოებას.



ზომიერების გრძნობა, სწრაფი მოსაზრების უნარი, მანქანის უტყუარი, ნაწილისადმი ადამიანური სიყვარული, მგზავრისადმი პატივისცემა მამინაც კი როცა ვერ გაგიგებს...

მეორეც, ძალია ხომ არავის დაუტანებია რაკი შოფერი გახდი, იგულისხმება, რომ ეს საქმე სიამოვნებას განიჭებს. და განა ადამიანი თავის ბედნიერებას იმაში არ ხედავს, რომ სიამოვნებით გაატაროს წუთისოფედი?

შოფერი ვარ.
დიდი საქმეაო, მეტყვიან. პროფესორი იყო, — გვესმის, ეს რა ვაჟკაცობაა, შოფერი შეიძლება ყველა იყოსო.
ვინც არ უნდა თქვას და რამდენმაც, ვერ დავეთანხმები.
ჭერ ერთი, ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ ყველა არ შეიძლება შოფერი იყოს. იმიტომ კი არა, თითქოს საშუალება არაა ყველას როდი აქვს სიმკვირცხლე,

ჩვენი ხელობის ადამიანებზე ზოგჯერ ცუდი აზრი აქვთ იმიტომ, რომ თითქოს მეხალტურები ვიყოთ.
ვინც ყველა მძღოლს ერთ ბათმანში ათავსებს, ის თვითონაა მეხალტურე! შრომაში, მომსახურებაში აღებული გროში ხალტურა კი არა, ოფლით მოპოვებული საზღაურია!.. და მერე, განა უფრო ხშირად ეს ოფლი უსაზღაუროდ არ იღვრება?!
მაგალითი? რამდენიც გნებავთ!
გუშინწინ ერთი ახალგაზრდა ქალი დავსვი კაბინაში (ჩემი თვითმცლელი მუდამ ქვითა და ალიწითაა სავსე და ძარაში ხომ ვერ ავაგდებდი). კარგად გავიცანით ერთმანეთი, მთელი დრო მასლაათში ვავატარეთ. ქალაქში რომ ჩამოვედით, ფული მაძლია, მაგრამ, აბა, როგორ გამომერთმია! მაძლია გადამიხადა, გამიღიმა, მეც ვავუღიმე და ერთმანეთს შეგობრებად დავშორდით.
დღესაც აზერბაიჯანელ ბიჭს წამოვეწიე. შექვიფიანებული მაყაროვით ამილო ხელი. დავსვი. აქეთებურს, იქითებურს მოვეყვით... არც გავიგია, ისე ჩამოვედით. მასაც მაძლიობას, ღიმილსა და ხელის დაქნევას დავჭერდი.
ვინც, რომ ენას არ გიგვალავთ და, ალბათ, მეტყვიან: ბიჭი მოგეწონებოდაო. დავუშვათ, მაგრამ პირველ შემთხვევაში ხომ ქალი იყო!

ყველაფერი თუ ასე გავაქილიყთ, უნას ძვალი მართლა არა აქვს და არც ქალაღლია ნახიმინდარი, რომ კალამი ჩალიდეროებს წამოდოს.

ასე, რომ ტყუილად ნუ ამიხირდებით, არაფერი გამოგივათ: პროფესიით უკმაყოფილო არა ვარ. პირიქით, შემაყებთ კიდევ, რომ საკაცო საქმეს ვაკეთებ.

და, შგონი, არც ცუდაა!

რამდენჯერ ჩემი ყურით გამიგონია: ლიდა ნამდვილი ალქაჯია, უზარმაზარ მანქანას სამაერო ხომალდით დააქროლებსო.

ამას წინათ ბრიგადირი მეუბნებოდა — რვა მარტის ბრძანებაში შესატანი არა ხარო. ძალიან შეწყინა, მაგრამ მალე მიმხვედრა; თურმე იმას გულისხმობდა — ქალებში კი არა, კაცებში უნდა ეწერო.

ასეც ხდება: გზაზე რომ მანქანა გამიფუტდება, ძირს გადმოვდივარ, ძარას ქვეშ ვძვრები და ჩხიყინს ვიწყებ. მაშინ კომბინეზონსა და ბიჭურ ფეხსაცმელებში მართლაც მამაკაცს ვგეგვარ. გამოვივლიან შოფრები, გადმოშვებენ, დახმარება ხომ არ ვინდაო, უარს მიიღებენ და იმეცხლებიან.

თუ იციან, რომ ქალი ვარ, ხშირად გადმოდიან და ისე მათვლიერებენ, თითქოს ვიტრინაში გამოფენილი ცოცხალი კალმახი ვიყო.

ერთმა მგზავრმა კიდევ გამაწითლა. მანქანის ქვეშ ვიყავი, გარედან მხოლოდ ფეხები მიჩანდა. მოსულა, თავზე დამდგომია, ყურება დაუწყია. თავი რომ გამოფავი, არც აცივა, არც აცხელა, პირდაპირ მომახალა: შოფერი კი არა, ანგელოზი ყოფილხარო! სულელი! თითქოს რაკი შოფერი ვარ, აუცილებლად უშნოც უნდა ვიყო! თუმცა ეს იმდენად ჩემს სილამაზეს როდი შეეხებოდა: მას ვაჟი ვეგონე და უეცრად ქალიშვილი შევჩრი ხელში.

არ იფიქროთ, საქმეს ვიიოლებდე. აბა! შოფრად მუშაობის პერიოდში ბევრჯერ გამჭირვებია, მაგრამ არაფერი იმაზე უკეთესი არაა, სიძნელეს რომ გადალახავ.

ერთხელ ასე, ოცდასამი-ოცდაოთხი წლის ბიჭი დავსვი. კარიერიდან ხრეში მომქონდა. მანქანაში ჩვენს მეტი არავინ იყო. ის მამაცხონებული, ჭერ სულ არ იღებდა ხმას, მერც, თითქოს საღერღელი აეშალაო, აღარ მომხსენა. ერთხელ გავაფრთხილე, ორხელ... ვითმინე, ვითმინე, მაგრამ როცა ენას ხელიც მიავშელა, სული ყელში მომებჯინა. „მაზიკი“ გავაჩერე და ვუბატონი ძირს ჩამოვსვი, მინდოდა ტუმბოთი მუცემნა, მაგრამ ძალზე ლამაზი იყო და შემეცოდა. ერთ-ორჯერ მაინც გავუშალე ხელი და სახეში ვტყიცე. როგორც ჩანს, მოულოდნელობისგან დაიბნა და ენაჩავარდნილივით იღვა. მერც ხრეშზე დავსვი და ქალაქში უბრებივით ჩამოვდილი.

ეს რომ სატრანსპორტო კანტორაში გაიგეს, უქალბატონოდ ხმას აღარავინ მცემდა. სამაგიეროდ, უგულლო და უკარება შემარქვეს.

არც ესაა სწორი!

ჰო და ამაზე მინდა გაიმბოთ.

ძალიან მიხარია, რომ უცხოელები რუსთავ-ქალაქს გვიქებდნენ. მიხარია იმიტომაც, რომ არაა სამრეწველო თუ სამოქალაქო ობიექტი, რომელზეც ქვა, აგური, ფილა, კრამიტი ან სხვა რამე არ მიმეზიდოს. ჩემი ხუთტონიანი თვითმცლელი „მაზ-205“ პირველ რიგებშია როგორც გავლილი კილომეტრების, ისე უავარიო მუშაობის მხრივ.

ერთი სამდურავი მაინც მეთქმის: გარკვეული უბანი არა გვაქვს; ხან ერთ სამშენებლო ორგანიზაციას მიგვამაგრებენ, ხან მეორეს. იშვიათად მომხდარა, რომ ერთ თვეს რომელიმე ობიექტზე მეშუავოს.

რომ გგონია, აბა, ახლა დაუახლოვდები ვინმეს, — მუშას, ტექნიკოსს თუ ინჟინერს, — მეორე დღეს უკვე სხვაგან ხარ. და არის გაუთავებელი „თვალი თვალს რომ მოშორდება, გული გადასხვაფერდება“...

თუმცა ისეთიც არავინ შემხვედრია, რომ წარუშლელი კვალი დაეტოვებინოს. ხომ არის, რომ ზოგჯერ ახალგაზრდა კიდევ მოგეწონება თითქოს გრძნობასაც არაფერი ელოდება, მაგრამ გაივლი კილომეტრებს და მხოლოდ უსახო მოგონებას გრჩება. მაშინ ხვდები, რომ ეს ის არაა, რომელსაც ეძებ.

მაგრამ, ნათქვამია, ერთხელ კოჭლიც წინააო. მოხდა ისე, რომ ყველაზე მეტ ხანს ბინათმშენებლობას შევჩრი. უბანს ძალიან შევეთვისე. ბიჭებიც შემეჩვივნენ. რომ დამინახავდნენ, ჩიტებივით დამძახებდნენ, ლიდა აქეთ, ლიდა აქეთო. უფრო მეტად ერთი ახალგაზრდა მომივიდა თვალში — კალატოშთა ბრიგადირი სერგო წიქარშივილი.

იგი საშუალოზე მადალია, ტანსრული, თუმცა ოდნავ პირთხელი. ცანმოწყვეტილი ვარსკვლავი არაა, მაგრამ არც ულამაზობა ეთქმის. ისეთი მწველი თვალები აქვს, რომ შეგშურდება. ალბათ, ამიტომაც დამრია ხელი.

უბანში შევალ:

— ლიდა, როგორაა საქმე?

— ლიდა, გადმოდი ცოტა ხანს.

თუ კარგ გუნებაზე ვარ, გადმოვხტები, ბიჭებს ორ ღერ სიტყვას ვაღირსებ (მოსაცდელად სადა მცალია, გამომუშავებაზე ვარ). ისეც სწრაფად ვკლები, ხელს ვუქნევ და... ჰაიდა!...

ხან კი უხმოდ ავაცირავებ ძარას, წამიერად დავცლი, ყურსაც არავის ვათხოვებ, ჩემს საქმეზე მივდივარ. თუ ბიჭი ხარ, დამეწი!

მაგრამ ასე დიდხანს არ გასტანა. დრო გავიდა და თითქოს შევიცვალე: მანქანიდან აუცილებლად გადმოვდივარ, კალატოშების საქმეები მაინტერესებს, უფრო კი სერგოსთან გამოლაპარაკება მინდა, მაგრამ ისე, რომ არაფერი შემამჩნიონ.

მერც თანდათან სერგო თითქოს სხვებს გამოეყო, როგორაც ჩემთვის უფრო ახლობელი გახდა. მინდა, სულ მას ვუყურო, მასთან ვიყო; მინდა, რომ იგი რამეს მაგალებდეს, მე კი ვასრულებდე. ამას სხვები ამჩნევენ, მაგრამ ვისი რა საქმეა! მე ეს კიდევ მიხარია!

ხშირად ასეთი შემთხვევაცაა.

— მაღაზიაში გამოიარე, პაპიროსი წამოიღე, — ღიმილით მთხოვს სერგო.

— პაპიროსის წევა არ ვარგა, უნდა გადაეჩვიო, — ისეთ კილოზე ვეუბნები, რომ მინდა ჭკუაც ვასწავლო და არც ვაწყენინო.

— ვიცი, მაგრამ, ვიდრე გადაეჩვიოდი, ხომ უნდა მოვწიო, — გადმოძახის ხარაჩოდან და სიცილს იკავებს.

— კარგი, მომეცი ფული.

სამმანეთიანს აგდებს.

— ხალტურა დავიტოვო?

— თუ დაგრჩეს, დაიტოვე.

— სამი მანეთიდან რა უნდა დამრჩეს, მომეცი თუმანი.

ხელი ჭიბისკენ მიაქვს.

— არ მინდა, — ვეუბნები და მანქანაში ვკლები.

— მოიცა, ლიდა! — მეძახის იგი, მაგრამ მე უკვე შორს ვარ.

სერგო კარგ ფულს აკეთებს. მისი ბრიგადა მუდამ მოწინავეა. თვეში ორი ათასზე მეტი გამოუღის. ღვინოს გადაყოლილი კი არაა, ამიტომ ჭიბეში ფული არ გამოუღევა.

ზოგჯერ მე ვყიდულობ ასეთ რამეებს — მინდა მივახალისო. მაგრამ სერგო ენამწარეა, ჩემი გახელებაც უყვარს.

— ალბათ, ხალტურა გააკეთე, — მამბრავებს, თან ეღიმიება.

მართლა მომდის გული: ხალტურა კი არ გავაკეთე, ამ საქმისთვის სპეციალურად მქონდა გადაღებული.

— მეორედ აღარ გეტყვი, — ბოდიშობს.

მაინც არ ვუთმობ: იმ დღეს დამდურებული ვარ.


ხან კაბინაში ჩავისვამ და მუშაობის შემდეგ თავის სახლში მიმყავს.

— ეს როგორ! მე უნდა გაცილებდე, პირიქით კი ხლებია!

— რას ვიკაპთ!

მაინც კმაყოფილი ვარ: რა მნიშვნელობა აქვს — ვინ ვის აცილებს, მთავარია, გულმა იცნოს გული.





მაგრამ ერთხელ ლამის კუბოს ფიცრამდე დავეუბრეთ ერთმანეთს.
სამუშაოს მწარმოებელი გვყავდა — კოლიას ვეძახდიო. ვადაბევიდა —
გინდა თუ არა, ცოტა ფული მიშოვნეო: დღეს თუ არ გადავკარი, ვერ მოვი-
სვენებო. არაჟი უყვარდა, ამიტომ კაპიკს ვერ იჩერებდა. ისე მოხდა, ხელფასმა
დაიგვიანა და მეც ქვსატად ვიყავი. უარი კი არ გამოვიდა: ბენზინი გაყიდე და
მიშველე რამეო. ნამდვილი ლოთი იყო, ის ოჯახქორი! (მერე მოხსნეს და
სადაც ვადაგზავნეს).

იმდენს მიჩინა, კი არ გამაბრვივა?
გავედი ქალაქგარეთ. ვხედავ, „ზიმი“ დგას. იქვე შუახნის, ჩასქელებული.
ქალაქი კაცი დატრიალებს. ეტყობა, შოფერი არ უნდა იყოს. მაგრამ არც
სხვა ვინმეა ახლოს.

ხელი ამიწია, გავაჩერე.

— თუ ქალი ხარ, ერთი ოცი ლიტრი ბენზინი გექნება...

— სამი თუმანი უნდა.

— სამი თუმანი რა ამბავია!

— კაი ამბავი!

— შე კაი ქალო, საკუთარი ხომ არაა...

— საკუთარი რომ არაა, იმიტომ ღირს სამი თუმანი მოვიპარო, საფრ-
თხეში ჩავვარდე და იაფად გავყიდო?! ჩემი რომ იყოს, გაჩუქებდით.

— ოცდახუთს მოგცემ.

— არა! ხუთი მანეთი თქვენთვის არაფერია, მე კი ერთ დღეს ვარჩენ ბავ-
შვებს (აქ უკვე აშკარად ვიცრუე).

— ახლა მეტი არა მაქვს, მაპატიე, ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს.

— კარგი, მომეციტ ჭურჭელი.

სერგოს არაფერს არ ვუფიცავდი და, ეს შემთხვევა რომ ვუამბე, კინაღამ
მომკლა.

— იცი, ვის მიყიდე?

— აბა, რა ვიცი ვიღაც ლურჯშლაპიანი იყო.

სერგო გაცეცხლდა: რამ გაიძულა, რომ დანაშაულზე წახვედიო! იქ-
ნებ, ვინმე უფროსი იყო — გამოცდა უნდოდა, შეგადგენს აქტს და ციხე არ
აგცდებო. მერე და ვისი გულისათვის!

მეც შეგვიქრინა: ვინ უნდა უფილიყო?! თუმცა ერთი კი მენიშნა —
მეორე დღეს ხელფასი მოიტანეს.

გამოხდა ხანი.

უბნიდან მოვიდვარ. გვერდით კოლია ინჟინერი მიწის. ხილზე რომ ვადა-
ვედი. ვხედავ, ნაცნობი „ზიმი“ დგას. ლურჯშლაპიანმა თვალი მომკრა, თი-
თით დამემუქრა, თან მკაცრად დაატანა:

— კიდევ გაყიდი ბენზინს?!
— არა, აღარ გავყიდი.
— აღარ გაყიდი, თორემ...

კოლია ინჟინერი რატომღაც ცახცახებდა. ოთხად მოკეცილივით იყო. ცუ-
დად ხომ არა ხართ-მეთქი, ვკითხე, მაგრამ, თითქოს ენა მუცელში ჩავარ-
დნოდა, ხმას არ იღებდა. როცა იქაურობას გავშორდით, ძლივს ამოიღულულუ-
ლა:

— საიდან იცის, რომ შენ ბენზინი გაყიდე?
— როგორ თუ საიდან! სწორედ მაგას მივყიდე.

ინჟინერს ისევ ეცვალა ფერი, გულწასული გეგონებოდათ. დავიბენი, ვე-
ლარაფერი შევბედე. ან კი რა უნდა მეთქვა! ბოლოს მაინც ვკითხე, ვამაგები-
ნეთ-მეთქი, რაშია საქმე.

— იცი, ეგ ვინ არის?
— არა.

— მშენებლობის უფროსია!

ენა მოვიკენიცი. ახლა, ალბათ, მეც წამივიდა ფერი, მაგრამ ვინაა გამკი-
თხავი დახეტ, როგორ დამცინა ბედმა! ტყუილა როდია ნათქვამი — ერთი
დღე და ისიც ბურიანიოო.

მაგრამ უფროსი დიდსულოვანი აღმოჩნდა და ჩემს დანაშაულს მოსალოდ-
ნელი შედეგი არ მომჟოლია.

ბოლოს სერგოც შემირიგდა. ყველაფერი კარგად დამთავრდა (ნეტა ასე
კარგად ჩემი და სერგოს ურთიერთობა დამთავრდებოდა!) ხშირად ვიგონებ-
დით ამ ამბავს და ვიცინოდი.

* * *

დილით რომ უბანში მივედი, სერგო ხარაჩოვან ჩამოვიდა, ცალკე გამი-
ხმო და ისე მორიდებულად დამიწყო ლაპარაკი, თითქოს რაიმე დიდ საიდუმ-
ლოებას მანდობდა:

— ჩემი ბრიგადა კომუნისტური შრომის კოლექტივად მინდა ვაქცხო. აბა,

როგორ შეუფერხებლად მოგვაწვდი მასალებს. სხვებიც გავაფრთხილე.

ბიჭები კი მეოთხე სართულზე იღრიკებოდნენ. თუ ეგონათ, სერგო სი-
ყვარულს მიხსნიდა!

თავს როგორ დავწოვავდი! ქალაქს რომ გავცილდებოდი, მანქანის ბორ-
ბლებიდან სულ ცეცხლი ცვიოდა.

ნაყოფიც მალე დავინახეთ. ორი-სამი კვირის შემდეგ სერგომ პირობა
გაანალდა. ბრიგადის წევრები გაზეთებში დახატეს, თან ვეიბერთელა ქული
დაახურეს: ვიშრომით, ვიცხოვროთ, ვისწავლოთ კომუნისტურად!

სერგოს საშუალო დამთავრებული ჰქონდა, ახლა კისრულობდა — უმაღ-
ლესში განეგრძო სწავლა. წერილში მეც მიხსენებდნენ: ლიდა ხელაძე უბანს
სანიმუშოდ ემსახურებო.

თითქოს საწუხარი არაფერი მქონდა, გულს მაინც მაკლდა: ვაჟი პირშეკ-
რული იყო, მე კი — აბა, რა უნდა მეთქვა! რამდენჯერმე კინოსა და თეა-
ტრშიც ვიყავით, მაგრამ სახირო აქედანაც არაფერ გამოსულა..

ასე მიილია ზაფხული. პირველმა შემოდგომამ მოაღწია: ხან რეზავდა, ხან
პაპანაქება აჭერდა, ხან არც დედა იყო, არც დედინაცვალი. მაგრამ შემოდგო-
მა ძველიდანვე ქალ-ვაჟების საყვარელი დროა. იგი ხომ ყველგან ქორწილ-
ბითა ცნობილი! თუმცა ვისთვის საქორწილოა და ვისთვის — მეხი და
მეწყერი!..

როგორც ყოველთვის, უბანზე მხიარული მივიდვარ. ძარას ღორღისაგან
ვცლი და გამობრუნებას ვაპირებ. მაგრამ... გული სართულბისაკენ მიმიწევს.
სერგოს ვერსად ვხედავ. ალბათ სადმე თუ გავიდა. მინდა ვიკითხო, მაგრამ
მეუხერხულდება. ბიჭები ისეც გვიკირკიტებენ და... მტერი ჩაშარდა მათ ყბაში!
ამიკლებენ — უმისოდ ვერ სძლებო.

წინ ვიღაც მოქალაქე ამესვტა. სიგნალი მივეცი, გზა დამითმეთ-მეთქი, და
დავიძარი.

— ლიდა!

— ლიდა!

მეხმის, მაგრამ ვიცი, რომ სერგოს ხმა არაა. ალბათ, ვიღაცას გამოლაპა-
რაკება უნდა, მე კი სალაზღანდაროდ არ მცალია. პედალს ფეხი დავაჭირე
და მოვუსვი.

ხელახლა რომ მოვბრუნდი და ხარაჩოვანს თვალი შევავლე, გულმა ბავა-
ბული დამიწყო: სერგო არც ახლა ჩანდა. თუ სადმე შორს წავიდა, რატომ არა-
ფერი მითხრა?! უკითხაოხა აღარ იქნებოდა. მაგრამ წინაღობა ხმამ შემა-
ჩერა: სერგოს ამხანაგი ჩემსკენ მოდიოდა.

შევატყე, რომ გავფიქრდი: კალატოს ისე ჩამოსტიროდა ცხვირპირი,

რომ სადღაბუცოდ მომზადებულს სულაც არ ჰგავდა. შიშმა ამიტანა — ჩემს თავზე ხომ არაფერი უბედურებაა?!

— ბრიგადირს რატომ არ კითხულობ? — ისარივით მესროლა და პასუხს როდი დაუტაცა — ჩვენ გვეგონა, რომ უკვე ხელი მოაწერეთ, ახლა ვხედობი, რომ სულაც არ გაინტერესებს...

რა თქვა?! ხელი მოვაწერეთ თუ არა, ამას მნიშვნელობა არა აქვს; არც ისა ვასაკვირველი, რომ ხალხს ასე გაუგია... მთავარია, ამ დოკუმენტს ხაიდან დაასკვნა, რომ მე ბრიგადირი არ მინტერესებს მაგრამ მან ენის მობრუნებაც არ მაცალა, ისევ ბუჩივით მომაყარა:

— მარცხი მოგვივიდა: სერგოს ფილა დაეცა და ფეხი მოტეხა, საავადმყოფოში წაიყვანეს. წელან გეტახე, შენ კი ყურიც არ მათხოვე...

ძარღვებში თითქოს სისხლი გაჟეჟინა. მუხლები მომეკვეთა. მანქანას რომ არ მივეყრდნობოდი, კინაღამ ჩავიკეცე. კალატოზის ხმა აღარ მესმოდა — ყურები მიბუთოდა. არ ვიცო, რამდენ ხანს ვიყავ ასე. როცა გამოვფხიზლდი, კაბინაში წელი ავითრიე და სასოწარკვეთით ამოვიკვნივნი:

— შე შადლიანო, თავიდანვე ეგრე გეთქვა!
გზა ნამეტანვად გაგრძელდა. ასეა, როცა გეჩქარება, მით უფრო, რომ მიწაში წინადა, არავის დაგჯახებოდი. დიდად ვფრთხილობდი, მაგრამ, ხომ გაგიგონიათ, ეშმაკს არ ხდინავსო. მეც კინაღამ ქვა აღმართი მომიწვია.

ქურა ბავშვმა გადაშიჭრა, მივაყვირე. ბიჭუნა დაიხანა, უკან გამობრუნება დააპირა. დავამუხრუჭე. მაინც კინაღამ გადავჭერი, — ბორბალი ბავშვზე იყო მიყენებული.

გადმოვვიდი. აწლუქუნებული ბაღლი დავაზომინე, იქვე ცივი ხმით მოკვირ თმაგაწეწილ დედამისს კი მამაკაცურად შევეუკურთხე.

თუმცა ხიფათს გადავრჩი, მე ჩემი დაჰემარტა. დღეს როგორღაც მარცხენა გვერდზე ვარ ამდგარი. კიდევ კარგი, თუ სერგოს მარტო ფეხი დაუშავდა და სხვა უარესი არაფერია, თუმცა იმასაც ვაჩინა, როგორ მოსტყუა. ზოგჯერ უბრალო მოტეხილობასაც კი გართულება მოსდევს... მაგრამ არა ეს არ იქნება...

ბედად, საავადმყოფოს ჰოსპარი ღია დამხვდა. ეწოში შევედი და მანქანა პირდაპირ კარებთან მივაგდე.

სანიტარმა ქალმა კარი გაღო, მაგრამ შეშვებზე უარი მითხრა. მე არც მითხოვია ნებართვა: ასეთი და ასეთი კაცი თუ მოიყვანეს ან ახლა სად იქნება-მეთქი, ვცინებ. მან არც მიპასუხა და თავისი გაიმეორა, შესვლა არ შეიძლებაო.

— ქალო, კითხვებზე გამეცით პასუხი, შესვლის ნებართვა არ მჭირდება, საავადმყოფოს გამგემ თვითონ გამომიძახა.

ჩანს, ჩემმა სიტყვებმა იმოქმედეს, მაგრამ დათანხმება მაინც ვერ გაბედა. საუბარში ვიღაც თეთრხალათიანი ჩავკვირე: ეგ კაცი ახლა სწორედ მეორე სართულზე საოპერაციოშიაო.

რატო დამაკავებდა!
კარგად ვიცო, რომ საოპერაციოში შესვლა არ შეიძლება, მაგრამ იერიში მაინც არ დამიკლია.

— ხომ არ გაგვიღდი — გაასახავა ხელები ჩაბუსუნებულმა ექთანმა და ისე გადაშეღობა, რომ ყვეარი ვერ გაიტანდა.

კარგა ხანს ვიწრიადე, მაგრამ არაფერი არ გამივიდა, ბოლოს ისევ ექთანმა მიშველა: ექიმისაგან ამბავი გამომიტანა — თუმცა საშიში არაფერია, დღეს მაინც ნუ ნახავსო.

რა გამაძლენებდა!
იმ საღამოსვე შევიპარე პალატაში: ფეხი თაბაშირში ჩიხვავთ, თავიც შეხვეული ჰქონდა. ლაპარაკის ნებას არ აძლევდნენ, მაინც მითხრა, არა მიშავს რაო. ჩემი ნახვა გაეხარა, თვალბეჭეტი ღიმილი გამოკრთოდა. ეს კი მთავარი იყო!

* * *
სერგოს ყოველდღე ენახებოდა. ამიტომ საავადმყოფოში მეც კარგად გამოიცნეს და ჩემი „მან-205“-ც. ჰოსპარს რომ მივაყენებ, ბიჭები ისე გადასძახებენ ხოლმე ერთმანეთს „მოვიდა, მოვიდაო“, თითქოს მართლა დიდი ვინმე ვიყო.

მორიგე სანიტართან ჩხუბი აღარ მჭირდება. კარს ისე აღებ, არც მე-კითხება; აცის, რომ საშიშ მავს.

სერგოს სასთუმალთან ვჯდები და ვუამბობ მთისა და ბარისას. ვატყობ, ჩემი ლაპარაკი სიამოვნებს. ხანდახან ისე გაღიხარბარებს ხოლმე, რომ შეშინია, ბევრმა სიცილით არ აწყინოს.

კარგი ოჯახი შეიღია; მშობლები საავადმყოფოში გავიცანე: მამა ინჟინერია, ქარხანაში მუშაობს, დედა ექიმი.

მაინც და მაინც არ მიხარია: რომ დამიწუნონ — შოფერი რად გვინდოდო? რა თქმა უნდა, ვაჟია მთავარი, მაგრამ, ეხ...

* * *
გულში შორეულ რიგზე ვიყავი.

სოფელში ერთი გოგო ამეკიდა: გინდა თუ არა, რუსთაველი წამიყვანო. კაბინაში ადგილი არ მქონდა, ძარა კი ლოდებით იყო ხავსე. ქალიშვილი თანახმა იყო, რომ ქვებზე დაბეგვოდა გვერდები. მართალი გითხრათ, შემეცოდა. ისევ კაბინაში ჩავიჭუჭკეთ.

ასე, ოცი-ოცდაორი წლის იქნებოდა. მოხდენილი ტანის იყო. ფართო, ნათელი შუბლი და კოპწია გულმეკრდი, ცოტა არ იყოს, შემეხარბა.

კრიჭაშვიტური და ჭავჭავაძის ჩანდა. უთუოდ ამიტომაც სიტყვაძვირობა და ქალაქში წამოსვლის მიზეზი მაინც გამოკითხე. და ვაი იმ გამოკითხვას! აქეთ შემომეძვინა:

— მშენებელ სერგო წიქარიშვილს იცნობთ? ვერ ვიცნობ-მეთქვი, ვიცრუე.

— სახლიდან გადმოვარდნილა, დამტვრიულა. დღეს გავიგე და რა გამაჩერებდა!

თითქოს ენა დამბოდა, მეტი ვეღარაფერი ვცინებ. უცებ წარმოვიდგინე, რომ ქალაქში ჩემი მეტოქე მომყავდა. გული მეუბნებოდა, რომ ეს გოგო სერგოს ნათესავი არ უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, მას სხვა გვარი ჰქონდა. ვწივობდი, რომ დასკვნა თავისთავად გამოდიოდა. შიშს კი დიდი თვალბეჭეტი აქვს. მეც გაფართოებული თვალბეჭეტი მოვარდნილი მანქანას...

მთელ გზაზე ხმა არ ამომიღია. ბოლმა-ვარამი გულზე ტყვიასავით მაწვია. ასეთი რა დავაშავე?! თუ ამის მიზეზი შოფრობაა, დღესვე ვანებებ თავს. საშუალო დამიშთავრები, სხვა რამეს მოვეციდები.

ქალი მოედანზე ჩამოვსვი.

მანქანა სასწრაფოდ გავცალე მტკვარგაღმა.

ავადმყოფები ჩვეულდებრევიდ შემიხედნენ, თუმცა ზემო ფანჯრიდან ვიღაცამ დამგესლა: ერთი მასთანაა, ახლა მეორეც მოდისო. იქნებ, არც უთქვამს და მხოლოდ ჩემმა გულმა დაიკვნესა ასე?!

კიბეები სულმოუთქმელად ავირბინე. ექთანებმა კიდეც მომიძახეს — ნუ გეშინია, კარგად არისო. მაგრამ მათთვის ხეირიანად არც შემიხედავს.

პალატა სწორედ მაშინ შევადე, როცა მეტოქე შუბლს უყოცნოდა სერგოს... გველნაკბენივით შევიკვლი, უკან ცივად გამოგბრუნდი და კიბეებზე ისევ სულმოუთქმელად დავეშვი.

ღამე თეთრად გავათენე. ან რა დამაძინებდა! საშუალო რომ დავამთავრე, უმაღლესს არ გამოვდგომივარ, თუმცა კარგად ვსწავლობდი და იქნებ კიდევ მოვწყობილიყავი: მშენებლობაზე წავალ, დოვლათსა და ოჯახს შეეკმნი, კარგი დედა და მოქალაქე ვიქნები-მეთქი.

დახეთ, როგორ გამიშართლა!
მაგრამ, იქნებ, წინაზრახვა მატყუებს და არც ისეა საქმე, როგორც მგონია.


რა ვიღოვნო ამის გასაგებად?
ზარი დამებადა, დღესვე შევეუგზავნო წერილი და პასუხს იქვე დავულოდო.

ბრტყელ-ბრტყელი ფრანგები არ მიძებნია, ხელისოდენა ქაღალდზე ორიოდ სიტყვა დავწერე: „ძვირფასო სერგო! ნუ დამძრახავ, მაგრამ ერთი კითხვა ამეკვიტა: გულში რომ სოფლიდან ქალიშვილი ჩამოვიდა, შენი რა არის? ნუ დაიზარებ და მხოლოდ ორი სიტყვით მაცნობე. ვიცდი, გარეთ ლიდა“.

ხუთი წუთიც არ გასულა, რომ სანიტარმა ჩემი ბარათი მომიტანა უკან. კინაღამ ელდა მეცა, მაგრამ მალე გონს მოვადი.

მეორე გვერდზე წაიწერა: „ლიდიკო! მე ვიცე, რაც გაფიქრებს, სისულელეებს თავი დაანებე. სოფლიდან ჩამომივიდა ნახევარი და (დღით ვართ და-ძმა). შემოდი ჩქარა სერგო.“

ღმერთო, დამიფარე! ნუთუ ეს სიტყვები გულწრფელია?! თქვენ რას იტყვოდით?





ეროვნული
ბიბლიოთეკა



გურამ გელოვანი

ნოემბერი




ფოტო
გუკამ თიანათისა



ფოტო




მანანა



გამოდისილება

კახეთის გზაზე



საწყობი,
საფელ ყოჩულდაში


წელი სხარა



განუბნული ადრული



დილა ბაყერაშვილი





ქართული
ბიბლიოთეკა



10
XII
65

ნახტი ა. ბანძელაძისა

ვუმღერ სამშობლოს

სულ ჩემი გულის მონაწურია,
რაც დაეწკარა ქალაქს ლექსები,
ვუმღერ სამშობლოს, კიდე მწყურია,
და მის სიყვარულს დავემწყემსები.

მშობელ მიწაში მიდგას ფესვები,
როგორც წყალში დგას წნორის ძირები.
სიცოცხლეს ვერვის დავესესხები,
თუ სამშობლოსგან გავიწირები!

მარადი შუქით ბრწყინვალეებს იგი,
მისი ნათელი დამთოვებია,
სიცოცხლე—მისი მშვენიების იქით
ერთ ნაბიჯზედაც არ მდომებია!

აქედრდეს მისთვის პოეტის ენა
და ტკბილი სიტყვის გამართულობა;
ვით ღონიერი ნიაღვრის დენა,—
ჩემი თქმულობა, ლექსქართულობა!

დამდგარა ჩემი სიმღერის ჯერი,—
ეს ყვავილები მე დავაგროვე;
მე ვარ სამშობლოს ჩუქურთმის მჭრელი,
ვარ ახალ ქართლის თანამედროვე!

გულის ნათელი მე მიპოვია,
ქართლის დიდების მე ვარ მნახველი,
სამშობლო—ჩემი გულის ფეთქება,
სამშობლო—ჩემი ლექსის სახელი!

გიორგი ლეონიძე



ეროვნული
გინჯლორთიქა

გიორგი ლეონიძე, გერონტი ქიქოძე და ტიცვიან ტაბიძე

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
პრეზიდიუმის აკადემიკოსი გ. ნ. ლეონიძისათვის საქართველოს
სსრ სახალხო პოეტის საპატიო წოდების
მინიჭების შესახებ

დაბადებიდან სამოცი წლისთავთან დაკავშირებით და ქართული საბჭოთა
პოეზიისა და ქართული ეროვნული კულტურის განვითარების საქმეში თვალ-
საჩინო დამსახურებისათვის მიენიჭოს პოეტ-აკადემიკოს გიორგი ნიკოლოზის
ძე ლეონიძეს საქართველოს სსრ სახალხო პოეტის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. კოჭინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
წ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1959 წლის 22 დეკემბერი.

გიორგი ლეონიძე

ჩვენმა ხალხმა ზემოთ აღნიშნა სახელოვანი ქართველი პოე-
ტისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი ლეონიძის დაბადების 60
წლისთავი.

ოთხ ათეულ წელზე მეტია, რაც გიორგი ლეონიძე შთაგონე-
ბული უმღერის თავის სამშობლოსა და მშობელ ხალხს, ქართ-
ველი ხალხის გამირულ წარსულს, მის ბედნიერ აწმყოსა და ნა-
თელ მომავალს.

იგი არის ქართული პოეტური სიტყვის ერთ-ერთი ბაირახ-
ტართავანი, ჩვენი ეროვნული პოეზიის მშვენიერა და სიამაყე.

გ. ლეონიძემ განვლო სახელოვანი გზა პოეტისა და მოქალა-
ქისა. ამ დიდ გზაზე იგი მუდამ იყო სამშობლოს განახლებისა და
ბედნიერებისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში.

მისი მაღალი პოეზია იყო და არის ჩვენი ხალხის, ახალი ქარ-
თლის მაღიდებელი და მომღერალი.

დამდგარა ჩემი სიმღერის ჯერი,
ეს ყვავილები მე დავაგროვე;
მე ვარ სამშობლოს ჩუქურთმის მჭრელი,
ვარ ახალ ქართლის თანამედროვე.

გ. ლეონიძის შემოქმედება მკვიდრ ეროვნულ ნიადაგზე დგას
და ამ მხრივაც იგი აგრძელებს ჩვენი დიდი კლასიკოსების ტრა-
დიციას.

მან დაუეწიყარ პოეტურ სახეებში დახატა ქართული ეროვ-
ნული ხასიათი, ჩვენი ქვეყნის ბუნების განუმეორებელი სილა-
მაზე, ქართველი კაცის მარჯვენის მაღლი, მისი ბალისა და ვენა-
ხის ბარაქა და დოვლათი.

მისი პოეზია უაღრესად ორიგინალურია, იგი ქართულ-ეროვ-
ნულ კოლორიტს ატარებს. და ამიტომ გახდა იგი არა მარტო
ქართველი ხალხის, არამედ ყველა მოძმე საბჭოთა ხალხისათვის
ახლობელი და საყვარელი პოეტი.

გ. ლეონიძეს სამართლიანად უწოდებენ საბჭოთა პოეზიის
ერთ-ერთ ფუძემდებელს. იგი ჩვენი დიდი სამშობლოს სხვა პირ-
ველხარისხოვან პოეტებთან ერთად მხარდამხარ იბრძოდა საბ-
ჭოთა პოეტური სიტყვის გამარჯვებისათვის, მისი სახელისა და
ღირსებისათვის.

გ. ლეონიძის საუკეთესო ლექსები თარგმნილია თითქმის
ყველა მოძმე ხალხების ენებზე, მის პოეტურ შედეგებს თავ-
თავიანთ ენაზე კითხულობენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებ-
შიც, და ყველგან გ. ლეონიძე სახელს უთქვამს ჩვენს ეროვნულ
პოეზიას, მის დიდ კულტურასა და ტრადიციას.

გ. ლეონიძის შთაგონებას ფრთას ასხამს ჩვენი ხალხის გმი-
რული ბრძოლა და შრომა, მისი დიდი და ნათელი დღევანდელი
დღე.

მაგრამ გ. ლეონიძე ასევე ორგანიულად განიცდის ჩვენი ერის
წარსულს, მის ტრაგიზმსა და პეროიკას.

გ. ლეონიძე არის ქართული ლექსის ერთ-ერთი უბრწყინვა-
ლესი ოსტატი, ქართული ენის ღრმად მცოდნე, ქართული
სიტყვის ნამდვილი ტრფიალი.

ფართოა და მრავალმხრივი გ. ლეონიძის სამოღვაწეო დია-
პაზონი და ინტერესი. იგი არის ჩვენი ხალხის ისტორიისა და
ლიტერატურის დაუღალავი მკვლევარი. თავისი მოღვაწეობის
ამ დარგშიაც გ. ლეონიძეს ბევრი ახალი სიტყვა უთქვამს.

მაღლიერი ქართველი ხალხი ღირსეულს მიუზღავს თვის
საყვარელ სახალხო პოეტს, რომელიც დღესაც ჭაბუკური შთა-
გონებით მღერის:

გულის ნათელი მე მიპოვია,
ქართლის დიდების მე ვარ მნახველი,
სამშობლო — ჩემი გულის ფეთქება,
სამშობლო — ჩემი ლექსის სახელი.



გიორგი კაპაშვილი

ნიუ-იორკის ცემენტს ველარ ვიტანდი. ქუჩებში მრავალი მილის სიგრძეზე დადგალი ცემენტი იყო დაფენილი. უფრო მეტი სახლებად იყო ამართული გზის ორივე მხარეს, თითქოს ქვისთაღიან სარდაფში ეცხოვრობდნენ. გარდა ამისა, ისიც მაწუხებდა, რომ ქვეყანად, ალბათ, მავთულით შემოუღობავი არც ერთი ხე, ბალახი და ყვავილი არ იყო დარჩენილი. და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ახლოს არ გავკარებოდი მათ.

სხვაგან კი სად წაესულიყავი? არსად არაფერი შეგულებოდა. მაგრამ აი ერთხელ, როდესაც სამსახურიდან მეტროთი ვბრუნდებოდი სახლში, ორი კაცის საუბარი შემომესმა. რამდენადაც მივხვდი, ერთი მათგანი ახლახან დაბრუნებულიყო დასავლეთიდან, მაღალი მთების გადაღმა მდებარე ქალაქიდან. ეს ტყიანი მხარე ამერიკის კედე იყო. ორი დიდი მდინარე ღრიალითა და ზავით უერთდებოდა ერთმანეთს და შემდეგ შეგობრულად აგრძელებდნენ გზას. მართალი გითხრათ, ცნობის წადილმა წამძლია და მივყურადე. იქ თურმე მრავალი სლავი ცხოვრობდა. ყველანიირი სამუშაო ყელამდე იყო და ფასსაც კარგს იძლეოდნენ. სულ არ მიწინაა, რომ ორიოდე მილით გავცდი ჩემს გაჩერებას. სამაგიეროდ გარკვევით გავიგონე იმ ქალაქის სახელი.

და აი შაბათს, როგორც კი ხელფასი მივიღე, საღვურში წავედი და იმ შესანიშნავი ქალაქის ბილეთი ვიყიდე. ეს პიტსბურგი იყო. პენსილვანიის შტატში როცა ჩავედი, სიმათლე უნდა ვთქვა, ქალაქი მთლად იმწინა არ აღმოჩნდა, როგორსაც მოველოდი.

მაგრამ წუწუნის უფლება არ მქონდა. ახი იყო ჩემზე, ყური არ უნდა დამეგდო უცხო ხალხის საუბრისათვის. რაც იყო, იყო. გულხელის დაკრეფა აღარ შეიძლებოდა.

დავიწყე სამუშაოს ძებნა. ორ თვეს ვიხეტიადე ქუჩებში. ბოლოს წებოს ქარხანაში გამოვინახე ადგილი, მაგრამ მხოლოდ სამ დღეს შევტყე მას. უფროსი სხაპასხუბით ლაპარაკობდა და ვერაფერს ვუგებდი. სამსახურიდან პირდაპირ სახლში გავბრუნდი, რომ კიდევ რამე შემიძინა ჩემი სიტყვების

უცხოელი
კაცები

ნაწყვეტი რომანიდან «ქვეყანა, სადაც შეიძლება ყველაფერი მოხდეს»

წიგნიდან, მაგრამ შეუძლებელი იყო ოდესმე დავწვოდი ამ კაცს. მას მთელი საუკუნით გაესწრო ჩემთვის.

შაბათს მომცეს ჩემი ექვსი დოლარი და მიხერეს, რომ, თუ ოდესმე უკეთესად ვისწავლიდი ინგლისურს, შემიძლო დავბრუნებულიყავი და იგივე ადგილი მიმეღო. დიდი შეღავათია არა? და აი, კვლავ ქუჩაში აღმოვჩნდი. ხან ერთი, ხან მეორე ფაბრიკის კართან ვიყავი ატუხული. ერთხელ, ხეტიალის დროს, რომელიღაც სადალაქოს კარს მივადექი. დალაქი უკრაინელი იყო. მე მაშინ არც რუსული ვიცოდი ხეირიანად, მაგრამ ინგლისურზე უფრო მაინც მეხერხებოდა. ასე რომ, ჩვენ შევეძელით გამოვლაპარაკებოდით ერთმანეთს.

- მუშაობ? — მკითხა მან.
- არა-მეთქი! — ვუპასუხე.
- გინდა მუშაობა?
- რაქი ჭამა მინდა, მუშაობაც უნდა მინდოდეს.
- ამ საღამოს 9 საათზე მოდი, შენი ჩემოდანიც მოიტანე. იქნებ ადგილი გიშოვო.
- რა ადგილია?
- კარგი ადგილია. აი მოხვალ და ნახავ.

მხატვარი ა. ბანდელაქი

ცხრა საათზე სადალაქოში მივბრუნდი. ძვირფასი აბრეშუმის პერანგში გამოწყობილი ბრგე კაცი სავარძელში იჯდა და 25 ცენტთან სიგარას აბოლებდა. ორი კაცი კი ფეხსაცმელებს უბრიალებდა მას.

— კიდევ კარგი, რომ რვაფეხა არაა — ვუთხარი დალაქს რუსულად — მაშინ ხომ მთელი არმია დასჭირდებოდა გასაპრიალებლად.

— ხმა ჩაიწყვიტე, — რუსულადვე დამიბრუნდა დალაქმა, — მისტერ ბლეკ, — მიმართა მან იმ კაცს ინგლისურად, — ეს ის კაცია, მე რომ გითხარით. ძალიან უნდა მუშაობა.

- კარგი მუშაა?
- დიახ, სერ, მაგარი მუშაა.
- საიმედო თუა!
- დიახ, სერ, სულ რამდენიმე თვის ჩამოსულია ამერიკაში.

მისტერ ბლეკი ახლა მე მომიბრუნდა და მკითხა: „ლაპარაკობ ინგლისურად?“

„რომ ვიცტუო, ვლაპარაკობ, და ეს ადგილიც დავკარგო, არ ივარგებს-მეთქი“, — გავიფიქრე მე. ჯობს, ამთავითვე იცოდეს ყველაფერი, მე თავი გავაქნიე — არ ვლაპარაკობ-მეთქი.

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი, — მისტერ ბლეკმა ხელები მოიფშვინტა და ისე შემომხედა, თითქოს საშობაო გოჭი ვყოფილიყავი და აქნას მიიბრებდა.

გამოდის, რომ წინასწარ ვერაფერს მიხვდებოდა კაცი. ზოგან მოსწონთ, რომ ინგლისური არ იცი, ზოგან კი — არა. აი როგორაა საქმე ამერიკაში.

— ერთი ჰკითხე, შეუძლია თუ არა, დღესვე წამოვიდეს, — უთხრა ბლეკმა დალაქს. დალაქმა რუსულად გადმომაცა ბლეკის კითხვა.

მე თავი დაუქნიე და ჩემოდანზე ვანიშნე. როგორც კი მისტერ ბლეკი გაპარსეს და უხვად ასხურეს ოდეკოლონი, ჩვენ მის მანქანაში შევძვერით და დავიძარით.

თორმეტცილინდრიანი კადილაკის მობოტი ისეთი ხმით მუშაობდა, თითქოს სპეციალური შეკვეთით იყო დამზადებული.

აქა-იქ ჩვენ შევჩერდით და ნახევარ დუჟინამდე ხალხი წამოვიყვანეთ. ორი ჩინელი, ერთი ყრუ-

მუნჯი ბიჭი. ერთი შექსიცილი და ერთი ხნიერი გერმანელი. უფრო ბალაგანი გეგონებოდათ.

გზას ბოლო არ უჩანდა. დალაქმა ავი თქვა, შორი გზა მოგელოთო, და ასეც გამოდგა. ცოტა თვალი მოვატყუე. გათენებისას გამოვდგინა და წინ ქარხნის მიღები, დიდი სახლები და ანთებული ბრძმელები დავინახე. მისტერ ბლეკმა მანქანა შე- აჩრა და სამჯერ დააკყვირა. შემდეგ ადგილიდან მოვწყდით. 70 მილის სიჩქარით დავეშვიტ და- ლმართზე და ქარხნის ღია ჰიშკარში შევევარდით. ჰიშკარი მაშინვე მოგვიკეტეს.

ჩვენ მანქანიდან გამოვვედით. გვიჩვენეს, სად უნდა გვებანავა.

ვიღაც კაცმა ყავა და ფუნთუშები მოგვითანა და შემდეგ სამუშაოზე დაგვყენა.

ვიღაცამ სამუშაო იარაღები მომაჩვენა ხელთ. ახლა უკვე შემკეთებელ ხელოსნად ვითვლებოდი. ძალიან კარგი. ახასაც ვცდი.

მე დავიწყე საამქოლოში მიყრილ-მოყრილი მანქანების შეკეთება. კავიდა რამდენიმე საათი. ვიღაც კაცი მომიხალგოდა. დამთავრებული სამუშაო შემომოწმა და რამდენჯერმე დამიკანტურა თავი, ეს ნიშნავდა, რომ საქმე კარგად მიდიოდა.

გულმა მიგრძნო, რომ კარგ ადგილზე მოვხვდი. სამუშაოს თავს მივაქლავ. საღამოობით ვიმეცადინებ, გაკეთებულზე ვივლი. ადრე მოვალ სამუშაოზე და გვიან წავალ. შემდეგ დამაწინაურებენ. მე უკვე ვხედავდი ჩემს ღიად მომავალს: 30 ცენტს სიგარას ვეწევი და თვირფას კოსტუმში გამოწყობილი დავდივარ, მაგრამ ორ კაცს არ გავაწმენდინებ ფეხსაცმელებს! ეს ხომ ყოვლოწინა იქნება. შუადღის საყვირმა ამ დროს მომიწრო, როცა ვფიქრობდი, პაქარდში დაქვანდებინა ფული, თუ კადილაკში.

ეს ჩემი პირველი დღე იყო და, რა თქმა უნდა, საუბრე თან არ მქონდა. ის იყო ქარხნის დუქნის მოძებნა დავაპირე, რომ ლეგული, ბისკეტი, სოდანი წყალი და შემწვარი ხორცი მეყავა, მაგრამ დავინახე, ყველა ერთი მეორის მოყვლებით რომელიც კარებში გადიოდა და მეც მათ ავადეყენე დიდი გაწყობილი მაგიდები, თხლად დაჭრილი შემწვარი შაშხი, პური, კარტოფილი, ჭყინტი ლობიო, მოხარული სიჩინდი, კარაქის მოხრდილი ოთხკუთხედი ნაჭრები... მიირთვი, რამდენიც გეყნობს! მუთუთი, მწვინი, სწორედ აღდგომის სუფრა იყო. მაგრამ სუფრას ხალხის უცნაური კრებული ამშვენებდა — ნამდვილი ერთა ლიგა იყო. ცალ მხარეს ჰოლანდიელი მეჭდა, მეორე მხარეს კი — ვიღაც საყურეებიანი კაცი, მგონი, სიცილიელი. ცოტა მოშორებით შევამჩნიე ერთი კაცი, რომელიც ნამდვილად სირიელი იყო.

ვისადილეთ. შემდეგ მოვიდა ლეგული, ყავა და ნაყინი. კვლავ აღბრალდა საყვირი. ჩვენ ოთახიდან გამოვედით. კარებში ფული ამოვიღე — საჭმელში გადავიხდი-მეთქი. მაგრამ არ გამომართვეს და ისევ შევინახე. ვიფიქრე, ხელფასიდან დამიკავებენ-მეთქი. ღირს კიდევ. მე ყოველდღე აქ ვისადილებ.

სამუშაო დამთავრდა და მე იმ კაცთან ერთად მომიხდა გამოსვლა. რომელიც სირიელად შევიცანი, როგორც მივხვდი, მის მოვალეობას საცეცხურში გაზეთილი ქაღალდების შეკეთება წარმოადგენდა. უცნაური სამუშაოა, ჭუჭყიანი და კვამლიანი. მე ორიოდ სიტყვით გამოველაპარაკე მას. იგი ბეირუთელი იყო, მაგრამ უცხვრებრიო და სიტყვა-ძვირი კაცი გამოდგა, ვკითხე, სად ცხოვრობდა: „იქნებ შენს დასახლის ჩემთვისაც მოეცა ოთახი-მეთქი“.

— საცხოვრებლად? — ვაკვირვა მან. — რას ამბობ? ჩვენ აქვე ვათეთ დაშვს.

- ფაბრიკაში?
- რასაკვირველია!
- აქვე ვივასშებთ ხოლმე?
- რა თქმა უნდა.
- რატომ?

მან პასუხი არ გამცა. გახშობა მოვიდა, მოიტანეს ორი ღუბის სის-

ქის ბიჭუტქსი, შემწვარი კარტოფილი, მწვანე მუხუდო, სტაფილო, სალათა, ნამცხვარი, ხილი. შემდეგ დიდი ყუთით სიგარები ჩამოატარეს.

— სხეები სადა ჭამენ? — ვკითხე სირიელს გამოსვლისას.

ვფიქრობდი, იქნებ ვინმე გამომლაპარაკებელი მენახა; სხვა სასადილო ოთახში რომ მოვხვედრილიყავი. პირდაპირ ცუდად ვხდებოდი, როცა ჭამის დროს ვერაის ვესაუბრებოდი.

— ვინ, სხეები?
— სხვა მუშები.
— მეტი არავინაა.

— შენ რა, იმის თქმა ხომ არ გინდა, რომ ამ ვეებერთელა ფაბრიკას ჩვენ, ორასიოდე კაცი ვამუშავებთ. აქ ათასებია საქირი.

პასუხს ვეღარ მოვუცადე. სასადილოს გამგემ მანიშნა, უკან გავყოლოდი. მან საწოლებით სავსე დიდ ოთახში შემიყვანა და მიჩვენა, რომელი იყო ჩემი, საწოლები ღამაზად იყო გაწყობილი. ქათა-ქათა ზეურები, თბილი საბნები. მე დაწოლისთანვე დამეძინა, სიზმარში ვფიქრობდი, ამერიკა შესანიშნავი ქვეყანაა-მეთქი, მართლაც!

გათენდა მეორე დღე, ორჯერ გავიგონე, როგორ გახრიალა სანიტარულმა მანქანამ ეზოში. პირველად ორი ახალგაზრდა გამოიტანეს მანქანიდან და მდებუნქტში შეიტანეს, მეორედ — სამი. ისინი თავიდან ფეხებამდე გასისწლიანებული იყვნენ. რას იზამ, საშოში სამუშაო ჰქონიათ, ჩემი ბედი, რომ შემკეთებელი ოსტატი ვარ.

ბოლოს დადგა შაბათი. დავინახე, მუშები რომელიც ფანჯარასთან მოქუჩებულყენენ და მეც მათ მოვუდექი უკან. ხელფასის დღე იყო. კონკრეტი მოამცეს. კონკრეტში კი, ღმერთო დიდებულო! 42 დოლარი ნაღდი ფული იდო. ჭამისა და ღამის გათევისათვის არაფერი დაეკავებინათ. ეს კომპანიის ხარჯზე ყოფილა. 7 ცენტხალი დოლარი თვითელ ნაშუშეარ დღეში.

ისე გამეხარდა, რომ სული კბილით მეჭირა, სანამ ქალაქში წავიდოდი და ფულს დავხარჯავდი, ის სირიელი მოვინახე და ვუთხარი: „გინდა ქალაქში გავისიერნოთ? ერთ ბოთლ ღვინოს გეისრულობ. ცოტა ვისიამოვნოთ-მეთქი“.

— რას ამბობ! — მიპასუხა სირიელმა, — სრულ ჭკუაზე ხარ?

ეპ, ყველაფერს მივხვდი. ასეთი ხალხი ადრეც შემხვედრია. ისინი ჭიქა ღვინოს არ დაგილევენ. ეშინიათ, რომ მთელი ბოთლის ჩამოდგმა არ მოუხდეთ, ფულის გიყი ყოფილა. ბედნიერებას ვუსურვებ, დე, იქამდე იცოცხლოს, რომ თავის გემოზე მოიხმაროს დანახოგი. თუმცა, ჩეულებრივ, ასე არა ხდება ხოლმე.

დავიწყე ხეტიალი, რომ ვინმე სხვა მეპოვნა. კლუბის ოთახში, რომელიც მშვენიერად მოეწყო ჩვენთვის კომპანიას, ორ ბანქოს მოთამაშეს წავაწყდი. ისინი „დურაკობანას“ თამაშობდნენ. „დურაკობანა“ ბანქოს რუსული თამაშია და ამიტომ გადავწყვიტე. გამოვლაპარაკებოდი მათ.

მოთამაშებმა რალაც დამტერებულ ენაზე გამცეს პასუხი. ისინი ფინეთიდან, ლატვიიდან და სადღაც იმ მხრიდან უნდა ყოფილიყვნენ. როგორც საუბრიდან მივხვდი, რუსული ჯარში ესწავლათ და ჩემსავით ცუდად ლაპარაკობდნენ. უნდა იფიქვას, უკეთეს მენახებებს ვეძებდი, მაგრამ რაღას ვიზამდი, მაინც დაუპატივე. მათ ისევე იტყუეს, როგორც სირიელმა. „შე რა, ტვინი არა გაქვს თავში? შენც სანიტარული მანქანით ხომ არ გინდა დაბრუნება?“ რა დემართა ამ ხალხს, მე გავგიჟდი თუ ესენი?

— აი რა, ბიჭებო, ერთი უბრალო კითხვა უნდა მოგკეთ. გინდათ თუ არა ჩემთან წამოსვლა და ერთი ბოთლი ღვინოს დალევა ჩემს ხარჯზე?

— გარეთ მოგკლავენ, — მითხრა ფინელმა, — უკან უთავოდ მოგიხდება მოსვლა!

— ვინ მომკლავს?
— გაფიცულები, — მიპასუხა მან ინგლისურად.
— გარეთ გაფიცულებია.

— კაოგი, იყვებხ გაფიცულები, მაგრამ მე რატომ უნდა მომკლან?

— გაფიცულები იმას ჰქვია. — განმიმარტა მან. — ვინც წინათ აქ მუშაობდა და ახლა აღარ მუშაობს.

— კი მაგრამ, მე რას მერჩიან? ისინი წავიდნენ, მე მოვედი. ხალხი ყოველდღე იცვლის სამუშაოს!

— ისინი სულ კი არ წასულან. მათ ძხოლოდ იმითმ შეწყვიტეს მუშაობა, რომ უფროსის მიცემული ფული არ ყოფნიდათ.

— აშენება ხომ არ უნდოდათ? ასეთი სამუშაოს დატოვება შეიძლება? რას იშოვნიან უკეთესს! როსტიფი, შუქტი თამბაქო. სუფთა ლოგინი და 7 დოლარი. მე სიხარულით ვიმუშავებდი აქ კიდევ ერთ წელიწადს.

— მათ ადლებს არ აძლევდნენ. მათ არც აქმეგდნენ და არც აწვენდნენ. მართო ორ დოლარ ნახევარს აძლევდნენ დღეში. ისინი სამ დოლარს თხოვლობდნენ.

— მე კი 7 დოლარი ვუჯდები უფროსს, რატომ არ აძლევს მათ 3 დოლარს დღეში. იგი კარგი ბიზნესმენი არ უნდა იყოს.

— უფროსი 7 დოლარს მანამ მოგვცემს, სანამ გაფიცულები ლოღინით დაიღლებიან და კვლავ ორ ნახევარ დოლარად არ დაიწყებენ მუშაობას. ან იქნებ ორ დოლარს და 25 ცენტსაც დაეკრდნენ. — მაშინ ჩვენი უფროსი სხვაგან წავიყვანას.

— სად სხვაგან?
— სადაც სხვა გაფიცვა იქნება.

— ეს ჩვენი უფროსი რომელია? ის კაცი, ჩვენი რომ მოგვიყვანა? მისტერ ბლეკი?

— ჰო, ისაა!
მე ჩავფიქრდი.

ისინი კვლავ თამაშობდნენ: ტყაბ, ტუზი, ტყაბ, ვალეტი.

— ბოდიში, რომ თამაშს გაწყვეტინებთ. — მივპაროე მათ რამდენიმე წუთის შემდეგ, — მაგ-



რამ იქნებ გახსოვდეთ, როგორ ითქმის ის სიტყვა რუსულად? — გაფიცული.

— ზაბასტოვიჩი!

ზაბასტოვიჩი? აჰა! ზაბასტოვიჩი! ახლა კი გამახსენდა. ჩემმა მეგობარმა არსენამ, იქ, სამშობლოში, კარგად იცოდა გაზეთების კითხვა. იგი ყველა საყურადღებო შემთხვევას მიყვებოდა



ხოლმე, გასაგებია! ზაბასტოვიჩი!

— ეს ადვილი არ მომწონს — ვთქვი მე, — ახლავე მივდივარ აქედან. მაგრამ ის სად არის? მისტერ ბლექის ოთახი?

— მთავარ შენობაში.

— საწყობების გაყოლებაზე?

— ჰო, პირველი სახლი, აგურის.

ეზო გადავქერი და კიბეზე ავდი, „დააკაუნეთ!“ ეწერა კარებზე. მეც დავაკაუნე.

— შეშრიდით.

ეს მისტერ ბლექის ხმა იყო. იგი იჯდა, ფეხები მაგიდაზე დაეწყო, პირში კბილის ჯაგრისი ჰქონდა გაჩრილი.

— მე მივდივარ, — მივმართე ბლექს, — ოღონდ ჯერ ქალაღი უნდა მომცეთ, რომელშიც ეწერება, რომ არ ვიცი, თუ ვჭურღობდი.

— აა, ეს შენა ბრძანდები? — მისტერ ბლექმა ჯაგრისი ყურზე ჩამოიღო, — მე კი მეგონა, შენ ინგლისური არ იცი. კარგი მაიმუნი ყოფილხარ!

— ამდენი კი ვიცი, — ვუპასუხე მე, — ისეთი ქალაღი მომეცე, სადაც ნათქვამი იქნება, რომ მე აქ შემთხვევით მოგხვდი, რომ მე არ ვიცი, თუ ვჭურღობდი. აი შემდეგ კი წავალ. აქ საკამათო რა არის?

— კარგია! აი თქვე ტილიანო ჩამოთრეულვებო! ყველანი ერთნაირები ხართ. ათიოდე დოლარს მოიგდებთ ხელში და ქვეყანა თქვენი გგონიათ!

— ჩამოთრეული, მაიმუნი, ტილიანი! უკაცრავად, მაგრამ თქვენი ხნის კაცი ასე არ უნდა ლაპარაკობდეს. დამიწერე ქალაღი და წავალ.

— აი, შე გამოთავყანებულ ნაბიჭვარო! — მისტერ ბლექი სავარძლიდან წამოხტა. — არაფერსაც არ დაგიწერ. წადი, წაეთრიე, თორემ აქედან გისვრი! — მან მაგიდაზე მუშტის ბრახუნი დამიწყო. — არ გესმის? გაეთრიე!

გვერდითა ოთახის კარი გაიღო და იქიდან მაღალი, გამხდარი ქალაღი კაცი გამოვიდა. მისტერ

ბლექმა მუშტების ბრახუნი შეწყვიტა და კრავივით უწყინარი გახდა „რას მიბრძანებთ, სერ? ბრძანეთ, სერ“. აჰა! ეს, ალბათ, ყველას უფროსია, — გავიფიქრე შე.

— რას ნიშნავს ყოველივე ეს? — უფროსი ალუბლის კურკებოვით ისროდა სიტყვებს. — მე მგონი, იცი, რომ აქ შენი მაწანწალები არ უნდა

გხედავდი, რომ ჩემზე უკეთესი ბიჭები ეცემოდნენ და აღარ დგებოდნენ. ერთხელ დაბადებულ, ერთხელ მოკვდება. რა ბედნაა, დღეს თუ ხვალ! მისტერ ბლექი ტელეფონის მიღს წასწავდა, მაგრამ მე მოველოდი ამას. ტელეფონის ხელი ვტაცე და ჩემს უკან მაგიდაზე დავდე.

— თუ გინდა დეარტყათ, — ვუთხარი მისტერ ბლექს, — სადაც გინდა და როცა გინდა. ვამჯობინებდი კი ახლავე. ოღონდ ვაქაცურად. მცველები? ეგ რა კაცობაა? სიმამაცე გინდა იყოლო, ისე როგორც წინდებს ყიდულობ ხოლმე? ფული გადაუხადო ვინმეს, რომ შენთვის გამოიჩინოს ვაქაცობა?

დიდ ბოსს სახე მარჯნისფერი გაუხდა. მან თვალების პარბალი დაიწყო, იგი ჯანმრთელ კაცს არ ჰგავდა. ალბათ, ბევრი ჭამა-სმა უყვარდა.

— შენ ინანებ, — თქვა მან.

— რა თქმა უნდა, ვინანებ, უკვე ვნანობ კიდევ. როგორ ფიქრობთ, მესიამოვნება, რომ ასე უხეშად გელაპარაკებით ამ ქალაღა, მამისტოლა კაცს? რა თქმა უნდა, არა! ჩემი თავისა მრტყვინია, მაგრამ თქვენვე ხართ დამამავე, თქვენ თვითონ დამიცირეთ თავი იმით, რომ მლანძღავდით და შემუქრებოდით.

მისტერ ბლექმა რაღაც წაუჩურჩულა დიდ ბოსს.

— არა, — უპასუხა მან, თან ყბა ისე უცახცახებდა, რომ ძლივს აბამდა სიტყვას სიტყვაზე, — ალყაფიდან გავიდეს, ეს უფრო იოლი გზაა.

— მშვიდობით! — მე უკვე კარებთან ვიყავი, — ყველა ერთნაირად არ უყურებს ცხოვრებას.

მათ არაფერი მიპასუხეს.

კვლავ კლუბში დავბრუნდი, ქალაღი ავიღე და ოთხი წერილი დავწერე თურქულად, რუსულად, სპარსულად და ქართულად:

„პატივცემულო ბატონებო!

გთხოვთ მამატიოთ ჩემი შეცდომა. ისე მოხდა, რომ არ ვიცი, თუ სამუშაოს გტაცებდით. აი ამიტომ გამოვდივარ!

შემოუშვა!

მე უკვე აღარ შემეძლო ამდენი ლანძღვა-გინების ატანა.

— ნუ მეძახით მაწანწალას. მე ეს წუთია ამას ვეუბნებოდი თქვენს მეგობარს, მისტერ ბლექს! თქვენ, მით უმეტეს, კარგა ხნის კაცი ხართ და მეტი უნდა გესმოდეთ. ლანძღვა-გინება?! ეს ხომ ლაწირაკების საქმეა. თქვენ კაცი ხართ და კაცურად მოიქცით!

— მოშაშორეთ ეს კაცი!

მისტერ ბლექმა ქალაღის წერა დაიწყო.

— ეს კი იცოდეთ, — უფროსმა თავისი გრძელი თითი ჩემსკენ გამოაშვირა, — პირადად მე ვიზრუნებ, რომ თქვენი სახელი შევრთებულ შტატების ყველა საწარმოს შავ სიაში მოექცეს.

— მილიონობით ადამიანს, ალბათ, არც კი გაუგონია თქვენი სახელი. თქვენი შავი სია მათთვის ჩალადაც არა ღირს. ისინი მომცემენ სამუშაოს.

— ამასაც ენახათ!

მისტერ ბლექმა წერა დაამთავრა.

— აჰა შენი ქალაღი, ოღონდ, როცა ალყაფის კარს გაცდები და გაფიცულები ნაწლავებს დაგაყრვეინებენ, მე ნუ დამემდურები! შენ ნახე სანიტარული მანქანით მოყვანილი ხალხი? როგორ ფიქრობ, სამართლიანად მოექცნენ მათ?


— თუ ვინმეს ცოლს, ფულს, სახლს, ბავშვებს მოგტაცებ, — ვუპასუხე მე, — მაშინ მას უფლება ექნება ყოველნაირად შემეშალოს ხელი.

— კმარა, წაეთრიე! — გაცოფდა ბოსი, — კიდევ ერთი სიტყვა და ქარხნის მცველებს დაეუძახებ. მათ იციან შენისთანების მოვლა!

— არ მიყვარს, როცა მაშინებენ, — ვუთხარი მე, — ახლა უკვე მეძნელდება წასვლა, ეს გაქცევის ემგვანება. თქვენი სიტყვები უკან წარდეთ, აი მაშინ წავალ და ბარი-ბარში ვიქნებით.

— რაო? მოშკლავენ? ომის დროს ყოველდღე





„ტფილისის“ წარმოშობის შესახებ დიდი ხანია დამკვიდრებული აზრი, რომ იგი ამ ქალაქში არსებული მინერალური წყლების ტემპერატურული ბუნებიდან გამომდინარეობს, მაგრამ სად არის ამის დამაჯერებელი ახსნა, რა საფუძველზეა აგებული ეს ლეგენდა ან ოფიციალური განმარტებები, როდის და ვინ სთქვა, რომ ამ მინერალურ წყლებს „ტფილი“ წყაროები ჰქვია?

ვახუშტი ბაგრატიონი გვაცნობებს, რომ „ტფილისის“ დის ცხელი წყალი კლდოვან ადგილზეა. არს მთა აბანოები ექვსნი და დიდშენი, ავაზიანი. მარადის მომდინარე ცხელი წყალი —ა.

გარდა ამისა თბილისის მინერალურ წყლებს უწოდებენ ცხელს და არა თბილს — შარდენი (1673 წ.), ტურნეფორი (1701 წ.), გაგარა (XVII-ს ოცდაათიანი წლები), იაზიკოვი (1770 წ.), პუშკინი (1829), არაბები, შინაურები და უცხოელები. ცხელია ეს წყაროები ხალხურ ლეგენდებშიც (განა შეიძლება ფრინველის ჩაფუფქვა თბილ წყალში?) — და ცხელად იწოდებიან ეს წყაროები არა რაიმე გაუგებრობის გამო, არამედ იმიტომ, რომ მათი უმრავლესობა ნამდვილად ცხელია.

ხელოვნურობის უტყუარ კვალს ატარებს, თბილისის სახელწოდების ახსნაც „თუბალების“ სატომო სახელისაგან ან ბიბლიაში. ხსენებული თობილისაგან.

სადავო არაა, რომ თბილისის მიდამოების უძველესი ბუნება ნამდვილად წარმოადგენდა საუკეთესო ბაზას მესაქონლეობისათვის. ვერეს ხეობასა და იაღლუჯაზე დღემდეა შემონახული სახელწოდებები „ბაკები“ (ბაგები), „ვერცლები“, „ბინები“.

ეს ნაგებობანი, ბუნებრივია, ფორტიფიკაციის ელემენტარულ ნიშნებსაც ატარებდნენ.

სულხან-საბა ორბელიანს „ზღუდეთა“ განმარტებაში აქვს „ბაკი ხვას-ტაგათის“, ძელორე... „ძელითა და ქვითა ბაკი მოვლუბლი“.

საკუთრივ ძელორე საბასვე განმარტებით არის „ქვითა და ძელით მოზღუდელი“ ნაგებობა.

ფორტიფიკაციის უფრო მეტ ელემენტებს შეიცავდა „სხრტე“ („ნედლნი ხენი, რომელიმე გარდადრეკილი, რომელიმე ნახევარკვეთილი, გარ-ზღუდელ მოვლუბლი, რტო ამონახეთი ხშირად, სიმარისათვის“). ხის (ძელით, ძეძვით, ლერწმით) მასალით ნაგებ ზღუდეთაგან საბას კიდევ აქვს მითითებული „ხიმი“, „ლობე“, „ყუ-რო“, „ხირხალი“, „მასარი“, „კაწანი“.

სხრტე-ძელორეებით მოზღუდუ-სა და ნამდვილი ციხე-სიმაგრეების ხის მასალით აგების პრაქტიკა რომ ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში, ამას უნდა მოწმობდნენ ვახუშტისა და „ქართლის ცხოვრების“ ავტორთაგან მითითებული ციხეების სახელწოდებანი: „ლასტის ცი-

ხე“, „არყის ციხე“, „თხმელის ციხე“.

უდავოა, რომ შემდგომში, სამხედრო საქმის პროგრესთან და ქვიტიკარის გავრცელებასთან ერთად, ხით ნაგებო სიმაგრეების ღირებულებაც თანდათანობით უნდა დაცემულიყო.

უნდა ითქვას, რომ თავდაცვისათვის ხით მოზღუდვის პრაქტიკას თავისი მთავარი უპირატესობა — სასწრაფოდ აგების შესაძლებლობა, — მაინც კარგა ხანს შეუნახავს და ეტყუბა ხშირად იყენებდნენ მას გაკირვებაში ჩავარდნილი მხედართაგან. ასე მოიქცა 1123 წელს თურქთა სულტანი, რომელმაც შარვანში შეჭრისთანავე, დავით აღმაშენებელს თავხედურად შემოუთვალა: „შენ ტყეთა მეფე ხარ და ვერაოდეს გამოხვალ ველთა; ხოლო, მე ეს ეს-რა შარვანში შევიყარ ხელთა და ხარაჯსა ვითხოვ: შენ თუ გუნებოს, ძღვენი ჯეროვანი გამოგიგზავნე, და თუ გინდა საპალავთათ გამოვედ და მნახე“—ო.

დავით აღმაშენებელი დიდი ლაშქრით უეცრად მიადგა შარვანს. სულტანი არ ელოდა ამას, იგი კუდამოძუებული „მსწრაფლ შევიდა ქალაქად და გარემოიზღუდა ერთ კერძო სხრტითა და ხანდაკებითა“.

ხის მასალით ხშირად იგებოდა არა მარტო კომბინირებული დანიშნულების პრიმიტიული დანიშნულების დასახლებების სერიოზული ხასიათის ზღუდებიც. ხის გალავანი (უფრო

სწორად ზღუდე) თბილისსაც ხშირად უკეთებოდა არა მარტო მხედრობის ქალაქად გადაქცევაზე, შემდგომშიც, ახ. წ. ა. VII-IX საუკუნეებშიც, ფორტიფიკაციული ნაგებობების საჭიროებისათვის თბილისის მიდამოებში უხვად იყო საუკეთესო მასალა — მუხა.

მუხის მასალა წყალში გდებისაგან რკინისავით მგრადება. სულხან-საბა ორბელიანი გვამცნობს, ასე „დამუშავებულ“ მუხის ხეს საკუთარი სახელი „კალასი“ ეწოდებოდა.

უდავოა, რომ ისტორიულად ცნობილი კალა და საერთოდ თბილისის მიდამოების სიმაგრეთა უძველესი კარიანტები სახელდობრ მუხის მასალით იქნებოდა შესრულებული.

მაგრამ ხის ნაგებობებს მაინც ჰქონდა ერთი ნაკლი — ცეცხლით განადგურების საშიშროება. ამ მიზეზით ხანძარმა შთანთქა თბილისი, მავალითად, ბულათურქის შემოსევისას (853 წელს), როდესაც იგი „მოადგა ქალაქს ტფილისსა, დაწვა კეცხლოთა“, და ამას იმით ხსნის სომეხი ისტორიკოსი თომა არწრუნი, რომ მანძინდელი თბილისი მადნარის ძელით (ხით) იყო ნაშენი. ხით ყოფილა ნაგები მისი ზღუდეები, სახლები და მთელ ქალაქსაც, მისი ცნობით, „ხის ქალაქი“ რქმევია.

ამასვე ადასტურებს სომეხი სწავლული, ფილოსოფოსი და პოეტი იოანე ერზინკელი, რომელიც 1284 წელს, ესტუმრა თბილისს: „მოგვიხ-

თქვენი გულწრფელი“... და მე ხელი მოვაწერე.

ბიჯაკის ორივე მხარეს ორ-ორი წერილი მივი-მაგრე ქინძისთავით, მისტერ ბლეკის წერილი შლიაბის ბაბთაში გავიკრე, ჩემოდანი ავღდე და პირველი კიშკარი გავიარე. მთავარ კიშკართან რომ მივსულიყავი, დაახლოებით 200 ფუტის სი-განის ეზო უნდა გამეცლო. გავიგონე, როგორ და-იწყო ხალხმა ღრიალი, როცა ამ ეზოზე მივდიო-დი. „გააღე!“ — მივიძახე დარაჯს, რომელიც მთა-ვარ ალაყაფთან აპართულ სადარაჯო კოშკურზე იდგა. მან თავი გააქნია და ბრბოზე მანიშნა. „გაა-ღე!“ — საკეტმა გაიტაკუნა, მე ღრმად ჩავისუთქე და გავედი.

გონს რომ მოვედი, ტახტზე ვიწექი და ვილაც ლქდი სისხლს მწმენდდა. ირგვლივ 4 თუ 5 კაცი შემომხვეოდა და თვალს მადევნებდა.

— ჩვენ ძალიან ვწუხვართ, — მომპართა რო-მელიდაც სლავურ ენაზე ცალთვალა კაცმა, — ჩვენი ბიჭები ფიცხები არიან.


„არაფერია!“ — მე თავი და ხელ-ფეხი ავამოძ-რავე. დაზიანებული არაფერი მაქვს. — რაში იყო საქმე?

— შენ გარეთ გამოხვედი. ბუნებრივია, რომ პატარა არეულობა მოხდებოდა. ვილაკამ მოგცხო და დაგავლო, როცა დაეცი, მათ ბლეკის წერილი ნახეს და მაშინვე შენი მოკვლა დააპირეს.

— რატომ?

— წერილი ამბობს: ამა წერილის წარმომდგენი, არის ჩემი პარადი რწმუნებული, კეთილ ინებუთ და შესაფერისად მოექცეთ მას.

მაგრამ ერთ-ერთმა ჩვენთაგანმა თქვა: „მოიცათ, მოიცათ, მაგ შტრეიკბრეხერების დალალ ბლეკს



ჩვენთვის არასოდეს არ უთქვამს სიმართლე, ახლა რატომღა უნდა დაეუჯეროთ? რაღაც მახეს გვი-გებენ, ერთი ვნახოთ სხვა წერილები რას ამბობენ-ნო“. მაგრამ ვერაინც შეძლო მათი წაიკითხვა და ამიტომ აქ მოვიტანეს.

მე ყველაფერი მოუყევე მათ და ჩვენ კარგი მეგობრები გავხდით. სანამ არ გამოვჯობინდი, ამ სლავ კაცთან და მის ოჯახობასთან დავრჩი. შემ-დეგ კი მეც, სხვებთან ერთად, გაფიცულთა პიკე-ტებზე ვდარაჯობდი. არც მოსაწევი, არც ბივშ-ტექსი, არც 7 დოლარი. სამაგიეროდ არც მისტერ ბლეკი იყო აქ. ასე რომ, სრული წონასწორობა სუფევდა.

ერთი კვირის შემდეგ დიდმა ბოსმა გადაწყვიტა შეთანხმებოდა გაფიცულებს. მე ვფიქრობ, მას მო-ბეზრდა ყოველდღე 7 დოლარის ძღვევა სირიე-ლისათვის. რომელიც იმისათვის უკეთებდა საცე-ცხლურში გაზვიდო ქალაქებს, რომ გაფიცულე-ბი მოეტყუებინა — ბრძმელები მუშაობსო. ბოსს კი შეეძლო, 3 დოლარად ისეთი ხალხი ეშოვნა, რომლებიც ნამდვილ ცეცხლს დაანთებდნენ, რაც არ უნდა იყოს, იგი ხომ გაქნილი ბიზნესმენი იყო.

ასე რომ, ჩემმა მეგობრებმა მუშაობა დაიწყეს და მეც კი მომიხანხეს ადგილი იმავე შემკეთებულ სამაქროში.

მაგრამ გადაწყვიტე, ეს სამუშაო არ ამელო. მართალი ვითხრათ, გული არ მიმწვრებოდა ამი-სთანა უფროსის ხელში მუშაობას — ამ კაცს ზრდილობის ნსახი არ გააჩნდა და ყველაზე ცუ-დი კი, ჩემი აზრით, ის იყო, რომ იგი სამუშაოდ ასეთი დარჩებოდა...

თარგმანი ინგლისურიდან ანდრუჟაშვარ ზეიშვილისა.

და შემთხვევა ჩავსულიყავით ქართულთა სამეფოში, სახელგანთქმულ დიდ სატატო ქალაქში, ისტორიული წიგნებით ფარტაქარანად (ხის ქალაქად) წოდებულ ცნობილ თბილისში...
ერთი სიტყვით, ვიდრე თბილისის უძველესი მოსახლეობა არ იცნობდა ქვეტირის და ქალაქის მუდმივი ნგრევა-გადამბეგვის შედეგად ბოლოსდაბოლოს კატასტროფულად არ შეიკვებებოდა საშენი მასალის შემცველი ტყეების რაოდენობა მის მიდამოებში, იგი მართლაც რომ „ხის ქალაქის“ სახელს იმსახურებდა. და შესაძლოა, რომ ასეც მოიქცენ ჩვენი წინაპრები: „ტფილისი“, ჩვენი აზრით, ძალიან ახლოსაა ამ სახელწოდების შემთავსებელ გავებასთან, იგი უნდა უდრიდეს ხით მოზღუდულ-მოფიცრულ ადგილს, დასახლებას, ანუ დაბას. ხით მოზღუდულის ან მოფიცრულის შემცველ სიტყვად სულხან-საბა ორბელიანს მითითებული აქვს ერთადერთი სიტყვა — მოტაფულეული. ამ სიტყვის ფუძედ, რასაკვირველია, ტაფული იგულისხმება, რაც მხოლოდ ფიცარს უნდა ნიშნავდეს (საბა არ განმარტავს მის მიერ ცალკე აღნიშნულ „ტაფულს“, ამისათვის იგი „მოტაფულეულზე“ მიუთითებს).

არც „მოტაფულეული“ და არც „ტაფული“ შემთხვევითი ტერმინები არაა. მათ ბლომად მოეპოვებათ ძალზე ახლო „ნათესავეები“ ხიამიერპროდუქციისა და ზოგჯერ მისი დამზადებისათვის საჭირო ინსტრუმენტების საბაზეულ ნომენკლატურაში. აი, დავაკვირდეთ:
— ტაბ-იკი . . . უღლის საყელური,
— ტაბ-ლა . . . ფიცრის სუფრა, ფეხელი,
— ტაბ-ლი . . . ნარდის ფიცარი,
— ტაბ-არი . . . ნაჯახი,
— ტაბ-ლასანა . . . საქანჩავის ძირის ფიცარი,
— ტაბ-არაკი . . . ხერხი,
— ტაბ-აკი . . . ხონა,
— დაფა . . . დასაწერი ფიცარი,
— ტაფ-ელა . . . სარიკაო ჯიხი,
— ტიფ-არი . . . ფიცარი შეწყობილი და სხვ.
გასაგებია, რომ მოტაფულეული ითქმოდა უმთავრესად მოზღუდულ ადგილზე, მაგრამ თუ მთელი დასახლება, ანუ დაბა ხის მასალით იყო ნაშენი, როგორც ეს უძველესი ტფილისის შესახებ იყო აღნიშნული. მაშინ უნდა ეთქვათ „ტაფულის დაბა“, ან „ტაფულისი“.

შემდგომში „ტაფულისი“, რომ ტფილისად გადაქცეულიყო, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა ფუძისეული „ა“-ს ამოვარდნას, რაც თავის დროზე „ტბის“ უძველესმა ფორმა „ტაბა“-მაც განიცადა.
ტაფულისი (ზოგი უცხოელის გამოთქმით ტეფელისი, — ტიფილისი) ან თვით ტფილისი, დროთა განმავლობაში ამ ქალაქის ადგილმდებარეობის ძირითადი ნიშნის გამომსახველს — ტაფობსაც (დარტაფი, ტაფ-ქალოვანი, ტყეტაფა) შეითავსებდა და აქაური „ტფილი“ კლიმატის საერთო ხასიათსაც შეეგუებოდა, რომელიც ვახუშტის მოწმობით „არს მშვენი და მზიარული...“ ზაფხულს ცხელი და არა გაუძღისი“, ე. ი. თბილი (შეადარეთ საბა: „თბილი — არც ცხელი, არც გრილი“) ასე გვეჩვენება ადგილობრივი პირობების სპეციფიკიდან გამომდინარე „ტფილისის“ წარმოშობის ერთ-ერთი ვარიანტი.

ეს-ეს იყო ტა ვახსენეთ. ხომ არ არის შესაძლებელი, რომ „ტფილისი“ ენათესავებოდეს ამ სიტყვას? თბილისის გარშემო აუარებელი ტბებია: კუს ტბა, დიდი ტბა, პატარა ტბა, ზემო ტბა, ავღაბრის ტბა, კუკის ტბა (ეს სამი უკანასკნელი „თბილისის ზღვაში“ მოექცა), წოდურეთის ტბა, სუსიას ტბა და კიდევ სხვა რამდენიმე.
ტბათა სიმრავლემ თბილისის მიდამოების სოფლების სახელწოდებებზეც იმოქმედა, — აქ თქვენ შეხვდებით მარტო ორ სოფ. ნატბურს (6 კილომეტრი ნიჩბისებების სამხრეთით), ტბარუჯს, ტბაზელას; სოფელ კუმიის ხომ პირდაპირ გადაუღია ტბის სახელი.
მაგრამ მკითხველი იკითხავს, — როგორ მოვივიდათ, რომ თბილისის მიდამოების ტბათა სიაში ლისის კლასში ბავშვების ხელების ტყე აღიმართა.
— ხელის აწევა რა საჭიროა, ბავშვებო, განა ყველამ არ უნდა იცოდეს გაკვეთილი? — დინჯად ამბობს ნინო და... იწყება გაკვეთილი, ვინ მოსთვლის უკვე მერამდენე.
ამბობენ, თუ შენი ცხოვრების მანძილზე ერთი ხე მაინც დაგიჩვენებს და გაგიხარებია, ტყუილად არ გიცხოვრია ამ ქვეყანაზე. მაშ, ნინოს ტყუილად არ უცხოვრია — ორმოცი წელია, რაც იგი ბავშვების აღზრდის კეთილშობილურ და სასარგებლო საქმეს ეწევა.
ღვაწლმოსილმა პედაგოგმა თავისი პირველი ნაბიჯები თავის მშობლიურ სოფელში ჯუგაანში (სიღნაღის რაიონი) გადადგა. შემდეგ გურჯაანში მასწავლებლობდა, ერთი წელი თელავშიც დაჰყო, ხოლო 1937 წლიდან თბილისის პირველ სკოლაშია მასწავლებლად. ამ სკოლის საუკეთესო ტრადიციების დამცველ და გამგრძელებელთა შორის, ერთ-ერთი საპატიო ადგილი ნინო ალადაშვილსაც უკავია. ბევრს, ძალზე ბევრ ბავშვს გაუღვია მის ხელში. ვინ იცის ახლა ისინი საბჭოთა კავშირის რომელ კუთხეში და შრომის რა ფრონტზე მოღვაწეობენ. განა ყველას დაიმახსოვრებ? ნ. ალადაშვილი, როგორც საუკეთესო პედაგოგი, უკვე კარგა ხანია, რაც გაიცნო ჩვენმა რესპუბლიკამ. ამიტომ ცდილობს ყველა პატარა „ნინო მასწავლებლის“ კლასში მოხვედრას. ნინო ნორჩებს აყენებს სწორ და საიმედო

ტბა გამოვრჩათო, და მართლაც ვახუშტი ბაგრატიონი მხოლოდ კუმიისისა და ლისის ტბებს იხსენიებს საკუთარი სახელით: „მას (საბჭოთა-ლოს ი. შ.) ზეით არს ტბა ლისისა-ო“ (ხაზი ჩვენს ქვეშაა) და „ტფილსადმეღვლია, რომ ტბა ლისი ან უფრო ადრინდელი ტბა ლისი „ტფილისი“-ს ჯერჯერობით უცნობი წინაპრებია.
ეს ხომ ყველაზე დიდი და ყველაზე სუფთა ბუნებრივი წყალსაცავი იყო იმ გიგანტური ფარეხის ცენტრში, რომელზეც ზემოთ გვექონდა ლაპარაკი? მაგრამ მკითხველი კიდევ ერთ კითხვას დაგვივამს: — რატომ უნდა დარქმულია „ტბა ლისი“ ან „დაბა ლისი“ (დაბა გარკვეულ შემთხვევებში ტბასაც ნიშნავს) დასახლებას, რომელიც 10-12 კილომეტრითაა დაშორებული ამ ტბას? სამართლიანი კითხვაა. და მას მხოლოდ ერთი პასუხი შეიძლება გაეცეს: დღევანდელი შესაძლებელია, რომ ამ ტბის ახლოს არსებული „ტბა ლისიდან“ მომავალი თბილისის ადგილას გადასულმა მოსახლეობამ თან წაიღო ძველი საპკიდებელის სახელი. ეს ხომ ხშირად ხდებოდა უწინაც და ახლო წარსულშიც!
აი ესეც მეორე, ადგილობრივი პირობების სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელი ახსნა ჩვენი დედაქალაქის სახელწოდების წარმოშობისა.
ივანე ზაიზმალაზვილი.

სპეკულატი

მეცადინეობის დაწყებამდე ოხუთ-მეტოდე წუთია დარჩენილი.
— სალამი!
— სალამი — გაისმის ყოველ ნაბიჯზე. პატარები შემოდინან ნათელ, ფართო ოთახში. მათ სულ რამდენიმე თვის წინათ გაიცნეს მერხი, დაფა, უჯრედიანი რვეულები... და საერთოდ, სკოლა. სახენათელი გოგონები ნაზად, კეკლუცად ისწორებენ ბავთებს: ბიჭები უფრო თამამად შემოდინან. თავაწუთლები, ჩანთებს სხვათა შორის დებენ მერხის უჯრაში და თავისუფლად მიმოდიან ოთახში.
ბავშვებს თან მშობლებიც მოყვებიან, მაგრამ ისინი კლასში იშვიათად თუ შევლენ. რას იზამ. თურმე არის ისეთი ადგილები, სადაც „მშობლების დასწრება (ასაკის მიუხედავად) მიზანშეწონილი არ არის“. სამაგიეროდ ისინი გულდასმით საუბრობენ ერთმანეთთან.

აი ზარის ხმა მოეფინა სკოლის დერეფნებს. ყველამ თავისი ადგილი დაიკავა. ჩამოვარდა ისეთი სიჩუმე, რომ პატარებს თავიანთი გულის ცემაც კი ესმით. მასწავლებელი კათედრაზე აღის და იწყება სიის ამოკითხვა.
— აქ ვარ!
— აქ ვარ! — კლასის ხან ერთ, ხან მეორე კუთხიდან, მკვირცხლად დგებიან ბავშვები...
ასეა, თითქმის ყველა სკოლის პირველ კლასში. ასეა აქაც. თბილისის პირველ საშუალო სკოლაში.
ნინო ილიას ასულმა ალადაშვილმა სიის ამოკითხვა დაამთავრა. წამით ჩაფიქრდა, კათედრიდან ჩამოვიდა და წინა მერხებს მიუახლოვდა. იგი დაბალი ტანისაა. ქალაქის მოსილი, სათვალეებიდან ლობიერი, სათნი თვალები იქტირებან.

კლასში ბავშვების ხელების ტყე აღიმართა.
— ხელის აწევა რა საჭიროა, ბავშვებო, განა ყველამ არ უნდა იცოდეს გაკვეთილი? — დინჯად ამბობს ნინო და... იწყება გაკვეთილი, ვინ მოსთვლის უკვე მერამდენე.
ამბობენ, თუ შენი ცხოვრების მანძილზე ერთი ხე მაინც დაგიჩვენებს და გაგიხარებია, ტყუილად არ გიცხოვრია ამ ქვეყანაზე. მაშ, ნინოს ტყუილად არ უცხოვრია — ორმოცი წელია, რაც იგი ბავშვების აღზრდის კეთილშობილურ და სასარგებლო საქმეს ეწევა.
ღვაწლმოსილმა პედაგოგმა თავისი პირველი ნაბიჯები თავის მშობლიურ სოფელში ჯუგაანში (სიღნაღის რაიონი) გადადგა. შემდეგ გურჯაანში მასწავლებლობდა, ერთი წელი თელავშიც დაჰყო, ხოლო 1937 წლიდან თბილისის პირველ სკოლაშია მასწავლებლად. ამ სკოლის საუკეთესო ტრადიციების დამცველ და გამგრძელებელთა შორის, ერთ-ერთი საპატიო ადგილი ნინო ალადაშვილსაც უკავია. ბევრს, ძალზე ბევრ ბავშვს გაუღვია მის ხელში. ვინ იცის ახლა ისინი საბჭოთა კავშირის რომელ კუთხეში და შრომის რა ფრონტზე მოღვაწეობენ. განა ყველას დაიმახსოვრებ? ნ. ალადაშვილი, როგორც საუკეთესო პედაგოგი, უკვე კარგა ხანია, რაც გაიცნო ჩვენმა რესპუბლიკამ. ამიტომ ცდილობს ყველა პატარა „ნინო მასწავლებლის“ კლასში მოხვედრას. ნინო ნორჩებს აყენებს სწორ და საიმედო

გზაზე, აძლევს მათ მყარ, საფუძვლიან და ჯანსაღ ცოდნას. ერთი სიტყვით, მიუძღვის მათ წარმატებისკენ მიმავალ გზაზე.
ნ. ალადაშვილს ოროსანი არასოდეს არ ყოლია კლასში. და საერთოდ იგი არც წერს ორიანს. ამ ამავდარ პედაგოგს აქვს მრავალი მეტად საინტერესო და სასარგებლო საკუთარი მეთოდი. იგი მეტად ყურადღაღები და საჭიროა პედაგოგიაში — ალბათ, ამიტომაც არის, რომ გამომცემლობა „ცოდნა“, ცალკე მონოგრაფიას უშვებს ნ. ალადაშვილის გამოცდილების შესახებ. ამ წიგნს, ალბათ, დიდი გულისყურით წაიკითხვენ ახალგაზრდა პედაგოგები.
პატივცემულ ნინოს წიგნებით როდი შეუსწავლია ეს „მეცნიერება“. მან მთელი თავისი ცხოვრება შეაღწია ბავშვებს, გადაუშალა მათ თავისი სულიერი სიმდიდრე. ცოდნა და აზრი, ამიტომ ამბობს ხშირად ნინო ალადაშვილი — სიბერემ მიწია, ალბათ, მალე ჩამოვმორდები ბავშვებს. თუმცა ვერა, ვერ დავმორდები მათ. როცა სკოლაში ვარ ჩემი თავიც ბავშვი მგონია. პატარებს რომ თავი დავანებო, ასე მგონია ჩემი ხელით შევიმოკლებოთ სიცოცხლეს. არა, მე მინდა ტბილი სიბერე ყმაწვილებში გავატარო.
ჩვენც ამასვე უტსურვებთ ღვაწლმოსილ პედაგოგს.
ბ. გომარეთი.



ა. ს. რაზმაძის „ვოლგა“

ალექსანდრე სოლომონის ძე რაზმაძე იყო გამოჩენილი მუსიკის მკვლევარი, კრიტიკოსი, ლიტერატორი, კომპოზიტორი. პიანისტი და მთარგმნელი. ის იყო მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორი და მისი სახელი მკვიდროდა დაკავშირებული რუსეთის მუსიკალური კულტურის ისტორიასა და მოსკოვის კონსერვატორიისთან, სადაც მან მეოთხედი საუკუნე დაჰყო. რაზმაძის კალამს ეკუთვნის შესანიშნავი ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის ნაშრომი „ვოლგა“, რომელიც თავისი შინაარსითა და სისრულით პირველია რუსეთში გამოცემულ ყველა გეოგრაფიული ხასიათის შრომებს შორის.

ალექსანდრე რაზმაძე დაიბადა ქალაქ პენზაში 1845 წელს. მისი მამა სოლომონ გივის ძე რაზმაძე. გამოჩენილი ქართველი მოღვაწე, მონაწილეობას ღებულობდა 1832 წლის შეთქმულებაში; ამიტომ მაშინდელ სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად საქართველოდან გადაასახლეს. სოლომონს მუდმივ საცხოვრებლად მიუჩინეს ქ. პენზა, სადაც ცოლად შეირთო ელისაბედ ივანოვა და მისგან შეეძინა ვაჟი — ალექსანდრე. სოლომონი გარდაიცვალა პენზაში 1862 წელს.

ალექსანდრემ ოქროს მედალზე დაამთავრა პენზის გიმნაზია და უმაღლესი განათლების მისაღებად შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1867 წელს გერმანიაში გაემგზავრა და სწავლა განაგრძო ლაიპციგის კონსერვატორიაში. გერმანიიდან დაბრუნებული 25 წლის ჰაბუკი მიიწვიეს მოსკოვის კონსერვატორიაში მუსიკის ისტორიის პროფესორად.

ალექსანდრეს კალამს ეკუთვნის სქელტანიანი შრომა „მუსიკის ისტორიის ნარკვევები“, რომელმაც მაღალი შეფასება მიიღო. მანვე თარგმნა მოპასანის ნაწარმოებები და ცალკე წიგნებად დაბეჭდა მოსკოვსა და კიევში.


ალექსანდრე ერთ ხანს ცხოვრობდა კიევში. სადაც დაწერა ისტორიულ-გეოგრაფიული ნაშრომი „ვოლგა“ — ნიენი-ნოვგოროდის (ახლანდელი ქ.

გორკი) სრულიად რუსეთის გამოფენასთან დაკავშირებით.

ა. ს. რაზმაძის „ვოლგა“ გამოცემულია ს. ვ. კულევნოს მიერ კიევში 1896 წელს, რუსულ ენაზე (ზომა 30x34 სმ), ტექსტი 162 გვერდი, დიდი ფოტოსურათებით. შრომას ბოლოში დართული აქვს „ვოლგის“ საძიებლის რუკა, ნაშრომი არის მოზრდილი ლიტერატურული ეტიუდი, რომლის მთავარი ამოცანაა გააცნოს მკითხველს რუსეთის დიდი მდინარის—ვოლგის სანაპიროები, დიდი ქალაქები თავისი ღირსშესანიშნაობებით. „ვოლგა“ უბრალო მგზავრი კი არ არის, არამედ უფრო ვრცელი დანიშნულებისაა. ნაშრომში მკითხველი იპოვის ისტორიულ ცნობებს ვოლგისპირეთის დიდი მხარეების ცალკეული ქალაქების შესახებ, ნახავს ეთნოგრაფიულ ცნობებს, ადგილობრივ მცხოვრებთა თქმულებებსა და ლეგენდებს, ცნობებს ვოლგისპირეთის სამრეწველო და სავაჭრო განვითარების შესახებ, გაეცნობა ვოლგაზე ნაოსნობის საკითხებს, ნიენი-ნოვგოროდის ბაზრობის აღწერას და სხვ. აქედან ნათლად ჩანს გამოცემის მიზანი. ნიენი-ნოვგოროდის სრულიად რუსეთის გამოფენასთან დაკავშირებით მრავალრიცხოვან ტურისტებს და დაინტერესებულ პირთაგანს მთელი ვოლგისპირეთი თავისი დიდი ქალაქებით და ღირსშესანიშნაობებით.

ნაშრომი შედგება შვიდი თავისაგან, ესენია: I ვოლგა; II ნიენი-ნოვგოროდი, III ნიენი-ნოვგოროდიდან ყაზანამდე; IV ყაზანი, V ყაზანიდან სამარამდე, VI სამარიდან ცარიცინამდე, VII ცარიცინიდან ასტრახანამდე.

ერთ ადგილას ა. ს. რაზმაძე იძლევა საინტერესო ცნობას ქართველი ბატონოშვილის შესახებ: „...სოფელი ლისკოვი გაშენებულია არა თვით ვოლგაზე, არამედ ე. წ. ვოლკაზე (ვოლგის შემდინარე). ამ სოფელმა, რომელიც გაშენებულია ძველი სუნდოვიტის ადგილზე რაზინის ამბოხების დროს გამოყვანა დიდძალი მემამბოხე. სოფლის ისტორია განსაკუთრებით ორიგინალურია XVI საუკუნიდან, როდესაც ის გახდა ადგილსამყოფელი თავად



ქ. ა. გრუზინსკისა, რომელიც თავის თავს „ქართველ უფლისწულს“ უწოდებდა.“

ა. ს. რაზმაძის ნაშრომმა მაღალი შეფასება მიიღო. ა. პ. ჩეხოვი 1896 წლის 24 ნოემბერს ტაგანროგის ქალაქის თავის იორდანოვისადმი მიმართულ წერილში ქალაქის ბიბლიოთეკის მდგომარეობისა და ახალი წიგნების შეძენის შესახებ, სხვათა შორის წერდა: «Насчет «Волги» Размадзе, издания дорогого (и мало интересного для тех, кто не бывал и не живал на Волге), скажу то же, что и о Мильтоне. Покупать» (А. П. Чехов — Собр. соч. т. 17 гл. 120-122).

ალექსანდრე რაზმაძე გარდაიცვალა მოსკოვში 1896 წლის 14 მარტს.

ამ დიდებულებთანა დაამიანმა ღვაწლი დასდო რუსული მუსიკისა და გეოგრაფიის განვითარებას.

გრიგოლ ჯარღალიშვილი.

ქართლის თეატრი

ნოდარ ლიხაძე

ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო თეატრმა ამას წინათ მორიგ პრემიერად უჩვენა ს. შანშიაშვილის დრამა „ამბავი ჭორჭიაშვილისა“. მსცოვანი დრამატურგის ეს ნაწარმოები პირველად სცენაზე განახორციელა ნიჭიერმა ახალგაზრდა რეჟისორმა გიორგი ვასაძემ.

დამდგმელ-რეჟისორს ნაწარმოები გაუაზრებია, როგორც ლირიკული დრამა, როგორც პოეტური ბალადა სახალხო გმირის ცხოვრებასა და ბრძოლას.

რეჟისორი ხაზს უსვამს პიესის დედააზრს, იმ მძლავრ სოციალურ დაპირისპირებასა და მასების საბრძოლო გამოფხიზლებას, რომელთაც წარმოშვეს ნალხის საქმისათვის თავგანწირული გმირი არსენა ჭორჭიაშვილი.

პიესაში ზომიერადაა ის ფონი (ქარხნები, მუშათა უბნები), სადაც იწრთობოდა და ვაუკაცდებოდა ახალგაზრდა გმირის შეგნება.

რეჟისორს განსაკუთრებით შთამბეჭდავად და მაღალმხატვრულად გადაუწყვეტა ის სცენები, სადაც ცალკე ადამიანების ბედია ნაწუნები, იგი ღრმად ჩაწვდომია არსენა ჭორჭიაშვილის ფსიქოლოგიას და მისი მოქმედება დიდი მღელვარებითა და დამაჭერებლობით გადმოჰყვია მთელი სპექტაკლის მანძილზე.

მოსაწონია რეჟისორის მუშაობა მსახიობებთან. უოველი მიზანსცენა გააზრებულია და სპექტაკლის მონაწილე ყველა მსახიობის თამაში რეჟისორის საერთო ჩანაფიქრს ემორჩილება. ამით სპექტაკლში მიღწეულია სრული ანსამბლურობა.

არსენა ჭორჭიაშვილის უშუალო და გულწრფელ ბუნებას, მის მზადყოფნას შეეწიროს სახალხო საქმეს, მშვენიერად გადმოგვცემს ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობი ნ. წიკლაური (აქვე უნდა დავძინოთ, რომ ნ. წიკლაური სპექტაკლიდან სპექტაკლში იზრდება და წინ მიდის სცენური დაოსტატების გზაზე).

შესანიშნავ დასამახსოვრებელ სახეს ქმნის რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობი შ. პირველი (სიმონი).

კარგად მიჰყავთ თავიანთი როლები გრ. ნაცვლიშვილს (გრიანოვი), ლ. ვაშაქიძეს (ცილა), კ. აბესაძეს (მამა) და სხვ.

სპექტაკლის წარმატებას ხელს უწყობს ალ. ვერულიევილის მხატვრობა და არ. კერესელიძის მუსიკა.

არსენა სასიკვდილოდ მიჰყავთ. ფარდა ეშვება, მაყურებელს არ სჭერა არსენას დაღუბვა, რადგან მისი საქმე გამარჯვებს.

საფინანსო სცენის ეს ოპტიმისტური ელერადობა მაღალი გემოვნებითა და მხატვრული ადღოთი აქვთ მიღწეული რეჟისორს, მხატვარსა და მსახიობს.





კიევის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ფონდის იმ მასალათა შორის, რომელიც საქართველოს უკავშირდება, უაღრესად საყურადღებოა ისტორიკოს ე. ბოლხოვიტინოვის (იგივე ევგენი მიტროპოლიტი 1767-1887 წ. წ.) პირადი არქივი. კერძოდ, მისი გამოუქვეყნებელი ნაწილი. მათ შორის ორი სანოტო ჩანაწერი, რომელთაგან პირველი საერო მელიოდაა — შექმნილი ბესიკის „სევდის ბაღზე“ (ფ. 297/559), ხოლო მეორე სა-

სულიერო — „ღვთიშობლის კანონის“ პირველი ძლისპირი (ფ. 18/727). ორსავე ჩანაწერის ნოტებ ქვეშ ქართული სიტყვები მოცემულია რუსული ტრანსკრიპციით. რაც უდავოდ იმითია გამოწვეული, რომ ჩამწერმა ქართული ანბანი არ იცოდა, ხოლო ქართველმა ინფორმატორმა სანოტო დამწერლობა.

როდის და როგორ შესძლო ე. ბოლხოვიტინოვმა საფუძვლიანად ვაცნობოდა ქართულ საისტორიო-სალიტერატურო წყაროებს და აღნიშნულ მელიოდეებს? «Провожу только иногда вечера с грузинским преевщ. Варламом — წერს ე. ბოლხოვიტინოვი პეტერბურგიდან 1802 წ. ერთ კერძო წერილში — Он мне все рассказывал да рассказывал про Грузию... як присев писать, аж смотрю, уже целая книга о Грузии маранья скопилось. Прочел владыке Варламу и ну пополнять, поправлять с находящимися здесь грузинскими князьями...»

ვინ არიან წერილში მოხსენებული ვარლამი და ქართველი თავადები? ეკვარხოსი ვარლამი (1762-1880) გვარად ერისთავი იყო. იოანე ქართველიშვილი მას ახასიათებს, როგორც „ფრიად მეცნიერ კაცს“, რომლისაგანაც უსწავლია „ღრმა-ტიკა, რიტორიკა, კატელორია, ლოდიკა, და მეტაფისიკა...“ ხოლო რაც შეეხება „ქართველ თავადთა“ ვინაობას პროფ. შმურლოს (1859-1917 წ.) კატეგორიული შტრიხებით ისინი არიან ბატონი-შვილები: იოანე, მიხეილი და ბაგრატო. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ბევრი ფაქტი მეთყვევებს. კერძოდ, მიტროპოლიტ ევგენის «Историческое изображение»-ს (რასაც საფუძვლად დაედო კერძო წერილში დასახელებული შავი ჩანაწერები) და იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ ქართული ლექსწყობის შესახებ მოცემულ თვალსაზრისთა ძირითად საზღვრში დამთხვევა, რაც კარგა ხანია შემჩნეულია სპეციალისტების მიერ.

ფოტო № 1

I — „სევდის ბაღის“ ტექსტზე შექმნილი ეს მელიოდა, დღეისათვის სახეობით დავიწყებულია და არ არსებობს მისი სხვა სამუსიკო ჩანაწერი. აი, ტექსტი:

„რა ია გამიწყრა ნარგავს მივმართე,
სისხლის ცრემლითა სიტყვანი დავრთე,
ვეუბნებოდი შენ წარმომართე.
იწრო გვის პოვნად გვები გაქვს ფართე!
შეც მომხვდა სოფლის მკვლეელი ბრჭყალები,
მისთვის შევიქენ ცრემლთა ფონები“.

რას უნდა მიეწეროს „სევდის ბაღის“ დამოწმებულ ფრაგმენტში ტაბეზა რაოდენობის 6-მდე დავყანა? დასრულებული მელიოდაა ჩვენს წინაშე თუ მისი ერთი ნაწილი? მოვლემინოთ თვით ჩამწერს: «У грузинов — წერს იგი თავის «Историческое изображение»-ს მე-85 გვ. — весьма много новых род стихов, взаимствованных от персидской поэзии из числа оных вот пример одной шестистишной и их песни»...

აქ მას საილუსტრაციოდ მოაქვს ჩვენთვის საინტერესო ფრაგმენტი, რუსული ბჭყარდული თარგმანით, (ერთშიც და მეორეშიც V ტაბეზად მოცემულია: „ვერ მივხვდი მახვილ განაწონები“, რითაც წიგნში შეგნებულად არის ჩასწორებული ნოტებ ქვეშ მიწერილ ტექსტის ამავე ადგილზე — „შეც მომხვდა სოფლის მკვლეელი ბრჭყალები“-ს

მოტანით დაშვებული შეცდომა რაც უდავოდ უნდა გასათვალისწინებელია) იქვე დასძენს: «последние два стиха суть припев, повторяемый при каждом четверостишии».

მაშასადამე, დამოწმებულ ადგილიდან გარკვევით ჩანს: ყოველი სამუსიკო მუსიკა შეიცავს ექვს სალექსო ტაბეს: მათში ორი უკანასკნელი: „ვერ მივხვდი მახვილს განაწონები“, „მისთვის შევიქენ ცრემლთა ფონები“, რეფრენადაა ქცეული და მეორდება ყოველი ოთხი ტაბის შემდეგ. აღნიშნულიდან, ნათელია ქართველი ინფორმატორის მიზანიც — საქართველოში დაინტერესებულ პირისათვის გაეცნო „სპარსული გავლენით შექმნილი სიმღერა — ლექსი“, რომლის სტროფულ-ტაბეობრივ შედგენილობას იგი განსაზღვრავს „სიმღერა-ლექსის“ ფაქტიურ მდგომარეობით და არა „სევდის ბაღის“ სალექსო ტექსტის დედნის მიხედვით.

ციტირებული ტექსტიდან გარკვევით ჩანს ისიც, რომ მელიოდის სალექსო ტექსტი მხოლოდ ეს 6 ტაბეი არ არის, მაგრამ აქვე არაფერია ნათქვამი სიმღერაში მელიოდის ცვალებადობაზე, რითაც შეგვიძლია წინამდებარე ჩანაწერი მივიჩნიოთ კულტურის ფორმის დასრულებულ მელიოდად და არა სიმღერის ერთ რომელიმე ნაწილად. ამიტომაც ე. ბოლხოვიტინოვს სრული საფუძველი ჰქონდა დაკმაყოფილებულიყო ერთი კულტურის ჩაწერით, რადგან სიმღერის ბოლომდე ფიქსირებისას ფაქტიურად მხოლოდ პოეტური ტექსტის ცვლილებას ექნებოდა ადგილი.

ფოტო № 2

II. ჩანაწერი წარმოადგენს „ღვთიშობლის კანონთა“ საგალობლის პირველ ძლისპირს. ტექსტი: „აღაღე პირი ჩემი, და ადავსე იგი მადლითა აღმოსთქვას გულმან ჩემან დიდება დედოფლისა და შევამკობდეთ, დღესასწაულსა მისსა ბრწყინვალედ მშვენიერსა და გვიურავინოსანსა“.

ცნობილია, რომ „კანონების“ სტროფთა მეტრული აგებულებისა, თუ მელიოდის საფუძველი ძლისპირია („ირმოსი“) ვალდობს წინამძღვარი, სავალავით პირველი — სანამუსიკო სტროფი.

კანონთა აღსრულებისას მხოლოდ ძლისპირები იმდერება, დანარჩენი სტროფები კი იკითხება (გარდა „საადღამო კანონებისა“).




დასასრულს, აღსანიშნავია, რომ ამ ჩანაწერის მიხედვით საქმე გვაქვს ამაჟამად ხმარებიდან გამოსული სამუსიკო ნიშნები: ♯, ♭, გ, მაოყენებასთან. Первый линейные ноты — წერს დ. რაუშოვსკი — Русской церкви были следующие: означает целую, ♯ половинную, ♭ восьмые ноты...

მელიოდა წარმოადგინოთ თანამედროვე ნოტებით:

ფოტო № 3

თუ გავითვალისწინებთ, რომ ხუთხაზოვან სანოტო ნიშნებით ჩაწერილ ქართულ საერო სიმღერებიდან ყველაზე უაღრესი 1871 წელსაა გადატანილი ნოტებზე, ხოლო სასულიერო 1868 წელს, მაშინ ინტერესსმოკლებული არ იქნებოდა 1802 წელს ფიქსირებულ ამ მელიოდეების მუსიკალურ ღირებულებათა შესწავლა, რაც კომპენტენტური პირებისათვის მიგვიჩნდა.

სოლომონ ლეკიშვილი






ჯ. ლუისი მემკვიდრე ადგილზე

ცნობილია, რომ ყველაზე დიდი პოპულარობითა და სახელით მოკრევეთა შორის მძიმეწონიანები სარგებლობენ. ესენი არიან თავისებური „აბსოლუტური ჩემპიონები“. ამას წინათ, ყოველთვის ამერიკულმა ჟურნალმა „რინგმა“ გამოაქვეყნა ყველა დროის საუკეთესო მძიმე წონის მოკრევეთა სია.

ამ სიაში პირველ ნომრად „ზის“ ზანგი სპორტსმენი ჯექ ჯონსონი, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონობის ტიტული 30 წლის ასაკში მოიპოვა. უძლიერესის სახელს იგი 7 წლის განმავლობაში ინარჩუნებდა, სანამ არ შეხვდა 2 მეტრიან გიგანტს, კოვბოი ჯეს უაილარდს. ვინ იცის, როგორ დამთავრდებოდა ეს შეხვედრა, რომ უაილარდის „ბიჭებს“ არ წამოეყენებინათ ჯონსონისათვის არჩევანი: დამარცხება ან სიკვდილი. ასე „გაიმარჯვა“ მე-26 რაუნდზე უაილარდმა.

ჯონსონის შემდეგ სიაში სწვრივ ჩვიმს ჯეფერისი, ბობ ფიტსიმონსი, ჯექ დემსეი, ჯეიმს კორბეტი და ჯო ლუისი. უკანასკნელ, მე-10 ადგილზეა როკი მარჩიანო.



„აქონსობია“

ჩიკაგოელ ანტონიო ალბანოს თავდავიწყებამდე უყვარდა ბეიზბოლი, მაგრამ ამავე დროს უღარესად მომჭირნე კაცი იყო. მან გადაწყვიტა ერთ-ერთ მატჩზე ეკონომია გაეწია და თამაშის საუბრებლად ელექტრონის ბოძზე აძვრა.

ალბანომ მატჩს უყურა, მაგრამ ბოძიდან ჩამოსვლა ვეღარ შეძლო. საჭირო შეიქნა მეხანძრეთა გამოწვევა და მისი ჩამოყვანა სპეციალური კიბით. ამისათვის ალბანოს გადაახდევინეს 20 დოლარი, ე. ი. ბილეთების ფასი 10 მატჩზე დასასწრებად.

ყველაზე „ოლიმპიური“

ევროპის ცენტრში, ავსტრიასა და შვეიცარიის შორის, მდებარეობს ლისტენშტეინის სამთავრო, სადაც 15.000 კაცი ცხოვრობს. ეს სამთავრო არავითარი განსაკუთრებული სპორტული მიღწევებით არ გამოირჩევა. მიუხედავად ამისა, ლისტენშტეინის სამეფოს პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში ოლიმპიელების რიცხვით... მცხოვრებლებთან შეფარდებით. ლისტენშტეინელებმა გადაწყვიტეს გაგზავნონ რომში ორი მსროლელი და ერთი მორბენალი. ეს არის სარეკორდო მიღწევა — 5.000 მცხოვრებზე, ერთი ოლიმპიელი. მე-17 ოლიმპიადისთვის ემზადება, აგრეთვე, სან-მარინო, ყველაზე პატარა რესპუბლიკა მსოფლიოში (14.000 მღვდელმცხოვრები). ვინ იქნება ამ რესპუბლიკის სპორტული ღირსების დამცველი რომში — ჯერ უცნობია, მაგრამ ერთი კი დანადგვლებით შეგვიძლია ვთქვათ: ოლიმპიურ გუნდს სამგზავროდ დიდი თანხა არ დაეხარჯება, არა მარტო იმიტომ, რომ წარგზავნილები ცოტანი იქნებიან, არამედ იმიტომ, რომ სან-მარინოდან რომამდე სულ რაღაც 200 კილომეტრია.

სამგზის ჩემპიონები

მხოლოდ ორმა ცნობილმა მძლეოსანმა ჯეიმს ოუენსმა და ემილ ზატოპეკმა შეძლეს მოეპოვებინათ სამი ოქროს მედალი ერთ ოლიმპიურ თამაშზე. ამერიკელმა სპრინტერმა ეს მოახერხა ბერლინში 1936 წელს, ჩეხოსლოვაკელმა სტაიერმა — კი ჰელსინკში — 1952 წელს.

მათი მიღწევის გამეორება შეძლო, აგრეთვე, პოპულარულმა ავსტრიელმა მოთხილამურემ ტონი ზაილერმა უკანასკნელ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე კორტინა დამპეცოში. მან მოიპოვა ჩემპიონობა სლალომში, სწრაფდაშვებასა და გიგანტურ სლალომში.

თუმცა, ოუენს, ზატოპეკსა და ზაილერზე ადრე ასეთივე შედეგს მიადგოთ ორმა სკანდინავიელმა მოციგურემ კლას ტუნბერგმა და ნორვეგიელმა ივარ ბალანგრუდმა. ტუნბერგმა მოიგო პირველობა 1500, 5.000 მეტრებზე და 4 დისტანციის ჯამში — 1924 წლის ოლიმპიადაზე, ხოლო ბალანგრუდმა — 500, 5.000 და 10.000 მეტრებზე 1936 წლის თამაშებზე.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ კიდევ ერთმა ნორვეგიელმა სპორტსმენმა ქალმა სონია ჰენიმ, რომელიც შემდეგ კინოსახიობი გახდა (საბჭოთა მსაუბრელებისათვის იგი ცნობილია ფილმიდან „მზიური ველის სერენადა“), სამ ოლიმპიადაზე, 1928, 1932, 1936 წლებში ზედიზედ იღებდა ჩემპიონის ოქროს მედალს ფიგურულ სრიალში.

„კომიტატი... გლეჯი“

ასე შეაჩვენეს ხუმრობით მომავალი ზამთრის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტს. მასში შედიან ტელევიზიის პროდიუსერი, საპაერო კომპანიის პრეზიდენტი, გაზეთის თანამშრომელი და ზამთრის სტადიონის მფლობელი. კომიტეტს ხელმძღვანელობს ცნობილი კინორეჟისორი, მულტიპლიკაციური ფილმების ოსტატი უოლტ დისნეი. თვითველ მათგანს მეტად შორეული კავშირი აქვს სპორტთან, სამაგუროდ მათ შესწევთ უნარი გამოიჩინონ თავიანთი ორგანიზატორული ნიჭი.

სახელდობრ, დისნეიმ წარმოადგინა სცენარი თამაშების საზეიმო გახსნისა და დახურვის შესახებ, აგრეთვე, მონაწილეებისა და ტურისტების მომსახურებაზე, რომელშიც გათვალისწინებულია კინოფარსკვლავების, კოვბოების, ვარიეტების ყოველდღიური გამოვლენები.

კომიტეტმა გადადგა, აგრეთვე, ერთი პრაქტიკული ნაბიჯი — მათ გამოუშვეს აბონემენტები, რომლის ფასია... 200 დოლარი.



ნოკაუტი კაფეში

ამას წინათ პარიზის განთქმულ კაფე „ოპერაში“ ერთმანეთს შეხვდნენ პროფესიული რინგის ყოფილი კორიფეები, ოდესღაც სახელმწიფო მოკრივეები ე. კარპანტიე და მ. ტენეი.

ბუნებრივია, მათი საუბრის თემას კრივი წარმოადგენდა. ძმაკაცები იხსენდნენ, მიირთმევდნენ კონიაკს და იხსენებდნენ წარსული დიდების დღეებს. კარპანტიემ მოინდომა თავისი ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური დარტყმის ჩვენება. იგი ადგა და მარჯვენა ხელით შეასრულა კლასიკური პირდაპირი დარტყმა, მაგრამ არა ჰაერში, არამედ... ოფიციალის სახეში, რომელსაც გვერდით მაგიდაზე მიჭქონდა ხილი და გამაგრილებელი წყლები.

ნოკაუტი შესრულებულ იქნა კრივის წესების სრული დაცვით და აშკარად ეტყობოდა, რომ ოფიციალური ვერც 10 თვლზე ადგებოდა, ვერც 100-ზე. მაგრამ მას შემდეგ ე. კარპანტიესათვის კაფე „ოპერაში“ შესვლა კატეგორიულად აკრძალულია.



ჩაცემები

მელბურნის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ცნობილი მორბენალი ა. მიმუნე ამას წინათ გზად იმყოფებოდა ბარსელონაში. იგი უჩიოდა ოტელის მეპატრონეს, რომ ბოლო ხანებში მას ხშირად აწუხებდნენ ფეხის ტკივილი და დროდადრო ძლიერ უჭირს სუნთქვა.

მასპინძელმა ასეთი რჩევა მისცა მიმუნეს: „მოიქცით ისევე, როგორც მე. როცა სიბერე ძალზე შემაწუხებს ხოლმე, ცოლი მომართავს რადიოლას და მასმენინებს ჩემი მატჩის რეპორტაჟს, ევროპის პირველობაზე კრივში. მერწმუნეთ, მაშინვე 20-30 წელი მომეხსნება ხოლმე მხრებიდან“.

ოტელის მეპატრონე აღმოჩნდა ესპანეთის ყოფილი ჩემპიონი და ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი მოკრივე მონ რომერა.

სიჩქარის რეკორდები

სპორტის ისტორიაში მრავალი ბრწყინვალე მიღწევა და რეკორდი ცნობილი. განსაკუთრებული ადგილი სიჩქარის რეკორდებს უკავია. ცნობილია, მაგალითად, რომ ყველაზე მაღალი შედეგი სირბილში აჩვენა მძლეოსანმა მელბატონმა 1948 წელს; მან 100 იარდი 8,3 სექუნდში გაირბინა, რაც უდრის 39,3 კილომეტრს-საათში. სარეკორდო დრო ცხენისათვის უდრის 66 კილომეტრს საათში, მოტოციკლისათვის 338 კილომეტრს საათში, ავტომანქანისათვის 668 კილომეტრს საათში. ცნობილია, აგრეთვე, რეკორდები ველოსიპედზე, გლისერზე, თვითმფრინავზე და თხილამურებზეც კი. თუმცა ამ უკანასკნელის სიჩქარის დრო ნაწილობრივ მაინც დამოკიდებულია რელიეფზე და თოვლზე.

ასეა თუ ისე, აბსოლუტური რეკორდი თხილამურებზე საქაოლ მაღალია — 159 კილომეტრი საათში. ეს შედეგი აჩვენა იტალიელმა ზენო კოლომ 1947 წელს (მას შემდეგ „რკინის ფეხებიანი“ კაცი შეაჩვენეს). ოთხი წლის წინათ ამერიკელმა როლფ მილერმა უფრო მაღალი შედეგი აჩვენა — 175 კილომეტრი საათში.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10

— როგორა თქვენი ბავშვი? — ეკითხება ერთი ქალი მეორეს.
 — არა უშავს, ექვსი თვეა, რაც დადის.
 — ო, აბა, ახლა შორს იქნება წასული.

...
 ორი კატა შეხვდა ერთმანეთს
 — როგორ ცხოვრობს თქვენი მეუღლე?
 — ეჰ, რა ვითხრა, რაც დრო გადის, უფრო და უფრო ძალღუთრად მექცევა.

...
 ექსპრესის კუბეში მარტო ზის მგზავრი. უეცრად განგეტყობს შემოიჭრა. მგზავრმა კანკალი დაიწყო.
 — ჩქარა, ფული! — დაიყვირა ქურდმა.
 მგზავრმა გადაიხარხარა.
 — რა გაცინებს?! — გაუკვირდა ბანდიტს.
 — ერთი კაპიკი არა მაქვს ჭიბეში.
 — რატომღა შეგეშინდა, როცა შემოვედი?
 — იმიტომ, რომ რევიზორი შეგონებთ, მე კი ბილეთი არა მაქვს.

...
 — ახლა, ბატონო, ამ ერთი წერილის გულისთვის აი იმ მთაზე უნდა ავიდე. — თქვა ფოსტალიონმა.
 — რატომ? — აღშფოთდა ბობი — თქვენ შეგიძლიათ იგი ფოსტით გაგზავნათ.

...
 — საშიშია ნილოსში ბანაობა? ნიანგები მართლა თავს ესხმიან ადამიანებს? — ჰკითხა მიულერმა ერთ მონადირეს.

— არა, ნიანგი არც ისე ხარბია, სამ თვეს ძლებს უშემლად. — მიუგო მონადირემ.

— მაშ უშიშრად შეიძლება ნილოსში ბანაობა. — დაიმედდა მიულერი.

— მხოლოდ ისეთი ნიანგის წინ არ გაცუროთ, რომელსაც სამ თვეს არაფერი უტამია. — გააფრთხილა მონადირემ.

...
 მასწავლებელი კლასში ბავშვებს მთვარის შესახებ უამბობდა, — ისეთი ღილია, რომ ზედ მილიონობით ადამიანს შეუძლია იცხოვროსო.

...
 უცებ პატარა მაქსს სიცილი აუტყდა.
 — რა გაცინებს? — ჰკითხა მასწავლებელმა.
 — წარმოდგენილი მაქვს, რა შედევა იქნება, როდესაც ნახევარმთვარეა. — მიუგო ბავშვმა.

...
 ერთმა ქალაქელმა კაცმა ბაზარში გლახს ჰკითხა: შენი ძროხა რამდენი წლისააო?

— ორისა. — მიუგო გლახმა.

— როგორ ატყობ? — დაინტერესდა ქალაქელი.

— როგორ და რქებით — აუხსნა გლახმა.

— აჰ, სწორია, სწორი, მას ხომ თავზე ორი რქა ადგასო, — მიხვდა ქალაქელი.

პროვინციიდან ჩამოსული, ხანმოკლე ქალი პირველად ჩაჯდა ტაქსში, მანქანა ძველი გამოშვებისა იყო. მძღოლს ხშირად უხდებოდა ხელის გამოყოფა მანქანიდან, რათა ეჩვენებინა რომ მოხვევა სურდა.

მგზავრმა რამდენიმეჯერ შეხვდა მძღოლს და ბოლოს გაბრაზებულმა უთხრა:

— ახალგაზრდავ! თქვენ საქმეს მიხედეთ, მე გაგაფრთხილებთ, როცა წვიმა წამოვა.

კინოში

— მუსიე, თქვენ ჩემ შლიაპაზე დაქვით!
 — როგორ, თქვენ უკვე აპირებთ წასვლას?



მიხეილ მესხი პარიზში.
 მეგობრული შარფი გ. ფირცხალავასი

ზ. მაისურაძის ქერამიკა

მხატვარი-ქერამიკოსი და მკვლევარი ზაქარია მაისურაძე შემოქმედთა იმ რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც უოველთვის მკიდრო კავშირში არიან ხალხურ ხელოვნებასთან და მასზე დაყრდნობით სწვებენ ახალ თანამედროვე მხატვრულ ამოცანებს. ტრადიციული ხალხური ხელოვნება მაისურაძისათვის სიუჟეტების, ფორმისა და ორნამენტის დაუსრუტელი წყაროა. მხატვარი მუშაობს ძველი და შუა საუკუნეების ქართული ქერამიკის შესწავლაზე. თიხის ჭურჭლის გამოწვის დროს შებოლვის მეთოდის გამოყენებით მხატვარი ქმნის კერამიკულ ნაკეთობებს, რომლებიც თავისი მხატვრული ეფექტით მოგვაგონებენ ძველ ნიმუშებს. შუა საუკუნეების ანგობირებული, ჭიქურქვე-შა მოხატულობის შემცველი (ე. წ. „დმანური“) ქერამიკის შესწავლის შედეგს წარმოადგენს მსუბუქი ორნამენტითა და გამოსახულებებით მორთული ფილები. თავისებური ტექნოლოგიური ხერხების გამოყენებამ ნაციონალურ მხატვრულად ეფექტურ ენაზე ამიტუველა მისი თანამედროვე ნაკეთობები.

ზაქარია მაისურაძე მხატვარი—ანიმალისტიკა, მაგრამ მის მიერ შექმნილი დეკორატიული პანოების თემატიკა სცილდება ამ უნარს. მხატვარს იზიდავს ჩვენი ქვეყნის უძირო ლურჯი ცა, მდიდარი ოქროს შემოდგომა, სურნელოვანი ვაშლის გაფურჩქნული ტოტები, ამაყი და თვალწარმტაცი ქართველი ქალი.

უშუალოდ და მხიარულებით არის გამსჭვალული „ბერიკაობის“ ციკლის შემადგენელი პანოები (ფოტოები წარმოდგენილია ჩვენი ჟურნალის ამ ნომრის ყდაზე). ციკლი მიძღვნილია ქართულ სოფელში მოწყობილი მოსავლის დღესასწაულისადმი. გაბერილ, წითელლოყა „დამპატიეს“ ეშმაკურად მიუბრუნებს თვალები ღვინით სავსე ფიალისაკენ. ხელით დატვირთული „უოჩი“ მძლავრი რქებით და კახურჭულდახურული „დინგა“ სიამაყით წარ-

მოგვიდგენენ უხვი შემოდგომის მოსავალს. ცელქ „მელიკოს“ კმაყოფილების ღმილი უთამაშებს სახეზე. ქართველი მანდილოსნის ნაწნავები და შავი თვალები ეჩიბრება სილამაზეში შესანიშნავი ხილისაგან დაწნულ სიმბოლურ გვირგვინს. ეს სახეები წარმოდგენილია თეთრ ფონზე (ქაშანური, ჭიქურქვე-შა მოხატულობით). პანო გადაწყვეტილია როგორც სიბრტყეზე გრავირებულ ნახატი. მხატვრული ეფექტის შექმნაში დიდ როლს თამაშობს ფერების შერჩევა. ლურჯი, ყვითელი, წითელი, შეხამებული შავთან — აი მისი პალიტრის მთავარი ფერები.

ზ. მაისურაძე ნაყოფიერ მეცნიერულ, პედაგოგიურ და შემოქმედებით მუშაობას ეწევა. იგი აწყობს ექსპედიციებს ქართლში, კახეთში, თუშეთში, დაღესტანში. მისი საკვლევო მუშაობა არ განისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ თავისი ქვეყნის კერამიკის შესწავლით. იგი ეცნობა, აგეთვე, სხვა ხალხების ნაკეთობებს, რაც ხელს უწყობს უფრო სწავლიდ გამოავლინოს ჩვენი მასალის თავისებურება. გარდა ამისა, იგი მუშაობს მცირე ხელოვნების სხვა დარგებშიც, სახელდობრ, ქსოვილების, ხის და ლითონის მხატვრული დამუშავების საკითხებზე.

ლიილა ხუსნივაძე

გარეკანის პირველ გვერდზე: „ბერიკაობა“ ზ. მაისურაძის კერამიკული პანოების ციკლი.
 ფერადი ფოტო იაკობ ხალიძისა
 მეოთხე გვერდზე: დამით რუსთაველის პროსპექტზე.
 ფერადი ფოტო გურამ თიქანიძისა.

რედაქტორი გრ. აბაშიძე | სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. სააკაშვილი, პ. მგ. მდივანი ნ. ჩაჩავა | ი. ტაბალუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე

სამ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | ჟურნალი გააფორმა ზ. ლექავამ. ტექნიკური დ. სეფიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV ხართ. | ტელ. — რედაქტორის და პ. მგ. მდივანის — 3-52-69, განყოფილებების — 3-95-38

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. | ფასი 3 მან. გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინოგრაფიაში.

ხელმოწერილია დასახელებად 31/XII-59 წ. გამოცე. № 215. ჯამ. ზომა 70x108¹/₈. 1,5 ჯამ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79. | პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 23.150. შეკ. № 1558, უე 08755

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии
 საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობის პ/კ „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. №14.



ქართული
ბიბლიოთეკა



სამოვრისაგან

ფოტო უშუბიტაშვილი-კოჭლოვსკისა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფართოყრანბანი კინოთეატრი

ს უ ს თ ე ვ ვ ლ ი კ ე კ ე კ ე

